NUNC ET UNDIQUE

აქ და ყველგან

NUNC ET UNDIQUE

სარჩევი:

სიყვარულის, მეცნიერების და სხვა
დემონების შესახებ..... 3
ცხოველები და სხვა ღვთიური არსებები ...20
მეშვიდე 32
აქ და ღღეს.....49
დიალოგი.....67

სიყვარულის, მეცნიერების და სხვა დემონების შესახებ

ჰეკლბერი: ამას წინათ ისევ მეცნიერებაზე იყო კამათი

ბეკი: რაღაც დაწერეს, ხო?

ჰეკლბერი: ჰო, თითქოს ვიღაცას უნდა რომ ჩვენს შტატში მეცნიერება დაღუპოს და გაანადგუროს

ბეკი: რაღაცა ალბათ უნდა განადგურდეს რაღაცა არა..

ჰეკლბერი: ა?

ბეკი: თითქმის. მე პოლიტიკოსების მხრიდან არ ვგულისხმობ

ჰეკლბერი: აბა?

ბეკი: თავისით.

ჰეკლბერი: ეგ რა მარტივი პასუხია

ბეკი: რთული გინდა?

ჰეკლბერი: ძალიანაც არა, მაგრამ აი იმ თავისთვის, ეხლა ზემოდან რომ გიყურებს, ხომ უნდა იყოს გასაგები

ბეკი: მაგ თავის მოტანა კარგი საბაბია მეცნიერებაზე საუბრის დასაწყებად

ჰეკლბერი: საუბრის კი არა, დიალოგის

ბეკი: როგორც არის – თვითონ მიხვდი თუ ავტორმა გათქმევინა?

ჰეკლბერი: დაიწყე ეხლა – სად იყავი მანამ, სანამ ავტორი გადაწყვეტდა შენს დაწერას

ბეკი: არა, – სად იყო ავტორი მანამ, სანამ ეს აზრი გაუჩნდებოდა? ანდა, კიდევ უკეთესი, როგორი იყო ავტორი მანამ, სანამ ეს აზრი გაუჩნდებოდა – ამ სამყაროში, მე და შენ რომ ვართ, ეს სულის გამოსაწრთობი კითხვაა, იქ, სადაც ავტორი ცხოვრობს – არა, სრულიად ლეგიტიმური და აზრიანი, სამყაროს რომ ასახავს.

ჰეკლბერი: მთლად არ არის ის რაც უნდა იყოს, მაგრამ არა უშავს.. რატომ არის აი ეს თავი კარგი მეცნიერებაზე დიალოგის დასაწყებად?

ბეკი: იმდენად კარგია, რომ ავტორს შეეძლო სულაც არ ეთქმევინებინა ის ორი სულელური ფრაზა ჩვენს შტატში მეცნიერების განადგურების შესახებ. კარგია იმიტომ, რომ იმას, რასაც დღეს მეცნიერებას უწოდებენ, ძალიან განსხვავდება იმისაგან, რაც მეცნიერება ჰგონიათ

ჰეკლბერი: ანუ?

ბეკი: ანუ, რა ჰგონიათ მეცნიერება თუ რას უწოდებენ მეცნიერებას?

ჰეკლბერი: ნუ მაიმუნობ, ორივე, ან ჯერ პირველი

ბეკი: ფიქრობენ, რომ მეცნიერება, არის ის, რაც შეიმეცნებს სამყაროს, იძლევა უფრო კომფორტული ცხოვრების საშუალებას, იგონებს იარაღებს, მათ შორის სასიკვდილოს, ანადგურებს გარემოს, იგონებს გარემოს შენარჩუნების ხერხებს, ინარჩუნებს მას, ახანგძლივებს ადამინის სიცოცხლეს, ამცირებს ადამინის სიცოცხლეს, უზრუნველყოფს სისტემების მდგრადობას, და ასე შემდეგ.

ჰეკლბერი: ეს ჩამონათვალი ჩინური ენციკლოპედიის განმარტებას ჰგავს

ბეკი: რომელს?

ჰეკლბერი: აი ამას, ავტორს რომ მოჰყავს თავის წიგნში - ცხოველები იყოფიან შემდეგნაირად: ა) იმპერატორის საკუთრება; ბ) ბალზამირებულები; გ) მოშინაურებულები; დ) ძუძუთა გოჭები; ე) სირენები; ვ) ზღაპრულები; ზ) უპატრონო ძაღლები; თ) ამ კლასიფიკაციაში შესულები; ი) ყველას რომ თავს ესხმიან, თითქოს გაგიჟებულიყვნენ; კ) უსასრულოდ ბევრნი; ლ) აქლემის ბეწვისაგან დამზადებული ძალიან წვრილი ფუნჯით დახატულები; მ) სხვები; ნ) ეს ესაა ლარნაკი რომ გატეხეს; ო) თითქოს შორს რომ დაფრინავენ.

ბეკი: სულაც არ ჰგავს

ჰეკლბერი: ჰგავს – რამდენიმე საუკუნის შემდეგ ეს განსაზღვრებაც მსგავსი იქნება – ანუ, ჩვენ განვმარტეთ, რა ჰქვია იმას, რასაც აკეთებენ ისინი, ვინც მეცნიერების სახელით მოქმედებენ და ვინც მეცნიერები არიან..

ბეკი: ისევე, როგორც ჩინურ განმარტებაში – ცხოველები არიან ისინი, ვისაც ჰქვიათ ცხოველები

ჰეკლბერი: ეს მოხერხებული განმარტებაა და არც ისე სასაცილო – ანუ, უსასრულოა, შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და შესაბამისად, პოტენციურად შეუძლია მართლაც ყველა ცხოველი მოიცვას..

ბეკი: ანუ, ეგრეთწოდებული აღწერითი განმარტებაა, არ ხსნის, არამედ ჩამოთვლის..

ჰეკლბერი: მაინც რატომ განსხვავდება ის რაც ჰგონიათ მეცნიერება იმისაგან, რაც მეცნიერება არის?

ბეკი: პრინციპში, როდესაც რაღაცაზე ფიქრს იწყებ, ის რაღაცა უკვე განსხვავდება იმისაგან რაც ის მანამდე იყო, სანამ ფიქრს დაიწყებდი

ჰეკლბერი: ეს ყველა შემთხვევაში ასეა?

ბეკი: მე მგონი კი. როგორც კი რაღაც ხდება თავისთავად ცხადი – მაგალითად, მეცნიერება, სამყაროს მოწყობა, სახლი, შენი მეგობარი - ეს თავისთავადგასაგებობა მისი ბუნება ხდება. ანუ, ამ შემთხვევაში საგანი, მყოფი, ადამიანი, არის ყველაზე უფრო თავისთავადგასაგები..

ჰეკლბერი: აუფ, ეს რა ფილოსოფიურ გაუგებრობაში მაგდებ..

ბეკი: არა, უბრალოდ გიხსნი, რატომ ხდება ყველაფერი სხვა, როდესაც მასზე ფიქრს იწყებ

ჰეკლბერი: შენ გინდა თქვა, რომ თავისთავადგასაგებობა საგნის ბუნებაა და არა ჩვენი დამოკიდებულება, რომელიც ჩვენი სურვილის/განწყობის მიხედვით იცვლება?

ბეკი: ჰო, მე გეუბნები, რომ ჩვენ თავისთავადგასაგებთა სამყაროში ვცხოვრობთ, და ნებისმიერი ცვლილების მიზანი არის თავისთავადგასაგებობის შეცვლა

ჰეკლბერი: ისე, რომ დაფიქრდე, შეიძლება მართლაც ასე იყოს – საგნები და სიტყვები ჩვენს წინაშე რაღაც იდუმალებით კი არ არიან წარმოდგენილები, და ჩვენ – ჩვენი სიზარმაცის გამო ვერ ვხედავთ მათ არსს – არამედ ისინი არიან როგორც თავისთავადგასაგებნი – და მხოლოდ ჩვენი სურვილის მიხედვით ხდებიან ისინი ღრმები და განსხვავებულნი – სხვადასხვა ფენების და სიღრმეების შემცველები

ბეკი: და შემდეგ იცვლებიან კიდეც – ანუ, ჩვენ რომ გვგონია, რომ ვიცოდე რამე, ნიშნავს ვიცოდე მისი წარმოშობა, ამის საპირისპიროა და ნიღბავს და ფარავს.

ჰეკლბერი: ნიღბავს და ფარავს, შემოდის სამი ფილოსოფოსი..

ბეკი: მაიმუნობ...

ჰეკლბერი: კარგი, დავსერიოზულდები – პლატონის და სოკრატეს დამკიდებულებაც – სინათლისკენ და გასაგებობისაკენ სწრაფვა – ამის შენიღბვა/არცოდნაა ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ – ამის დამალვა

ბეკი: რისი დამალვა?

ჰეკლბერი: რომ საგანზე აზროვნება მის შეცვლას იწვევს და ის უკვე აღარ არის თავისთავადგასაგები ბუნების, ამიტომ იმ მომენტში ამოვარდნილია სამყაროდან

ბეკი: მაგრამ მერე ხომ ისევ ხდება ამ ახალი საგნის თავისთავადგასაგებად ქცევა და მისი თავისთავადგასაგები

სამყაროს ნაწილად გახდომა – თუკი ეს აზროვნება მოახერხებს დაამტკიცოს, რომ ასეთი ახალი საგანი უფრო გამოსადეგია და პრაქტიკული, ვიდრე ძველი?

ჰეკლბერი: კი, როგორ არა. ამ შემთხვევაში გზა თავისთავადგასაგებობისაკენ – საკმაოდ რთულია და გააჩნია რა საგნებს და სიტყვებს ეხება საქმე.

ბეკი: საგანში თავისთავად არავითარი სიღრმე და დაფარული აზრები არ უნდა არსებობდნენ – პოტენციურად - თუკი ეს სიტყვა ვარგა ამ აზრის გადმოსაცემად – იქ "მთელი სამყაროა", თუმცა ამ მსჯელობების მერე ეს "მთელი სამყაროც" კარგავს აზრს..

ჰეკლბერი: იგივე ეხება ადამიანებსაც – საგნების მიმართ შეიძლება ამას შევურიგდეთ, მაგრამ სხვა ჩვენნაირის მიმართ? იქაც იგივე ვითარებასთან გვავს საქმე?

ბეკი: მე მგონი კი – უბრალოდ, ჰმ, უბრალოდ, ადამიანების შორის თავისთავადგასაგებობის რთული სტრუქტურა მუშაობს: კომუნიკაცია არის რაღაც კონკრეტული კონსტრუქციის შეთავაზება მეორესათვის მის შესახებ, და თუ ეს კონსტრუქტი მისაღებია, მაშინ კომუნიკაცია შემდგარია. არსებობენ მიღებული და დადგენილი კონსრუქტები და ჩვენ ენობრივი თამაშების და ჟესტების ენით ვახდენთ ამ კონსტრუქტების გადარჩევა/შეთავაზებას.

ჰეკლბერი: ეს ხომ ძალიან მარტივი სქემაა, ერთი მითხარი, რა კონსტრუქტს სთავაზობ როცა სექსი გინდა კონკრეტულ პიროვნებასთან?

ბეკი: არსებობს უფრო რთული მოდელები, მაგალითად სიყვარულის დროს, როდესდაც შეთავაზება ყოველდღიურ ურთიერთობასთან შედარებით რთული ბუნებისაა და ასეთივე რთულ, არაყოველდღიურ აქტიურ თანხმობას მოითხოვს მეორისაგან, და ფაქტიურად, ნიშნავს შენი მომავალი პარტინიორის ბუნების, ჰი, ჰი, არსის, შეცვლას

ჰეკლბერი: აბა რა, იყო სხვისი, გახდა შენი სექსუალური პარტნიორი

ბეკი: შეიძლება ეგრეც ავხსნათ.. ანუ, შენ ამით მეორე ადამიანის, ჰი, ჰი, ბუნებაში სერიოზული კორექტივი შეგაქვს

ჰეკლბერი: ჰო, რაც არ ხდება ბორდელში – იქ სექსი არანაირი სიახლე არ არის არც შენთვის და არც შენი პარტნიორისათვის

ბეკი: ჰო, იქ სექსი საგნების და სიტყვების თავისთავადგასაგებობაში მოძრაობს

ჰეკლბერი: იქ შეცვლის შეთავაზება იქნებოდა ბორდელის მაცხოვრებელს ისე დაეწყო ქცევა, თითქოს ბუნების შეცვლას თავაზობდე..

ბეკი: ალბათ, მაგრამ არა მგონია ასეთი თანამშრომელი ბორდელს აეტანა

ჰეკლბერი: ასეთივე ბუნების უნდა იყოს ქარიზმატულობაც, ალბათ..

ბეკი: მე მგონი კი.. ქარიზმატულობა ამ შემთხვევაში შეთავაზებული კონსტრუქციაა, დროში გაწელილი: მმართველობის, ლიდერობის მოსურნე საკუთარ მიზანს/ობიექტს სთავაზობს ბუნების შეცვლას, მისი თავისთავადგასაგებობის გადასინჯვას

ჰეკლბერი: მისი თავისთავადგასაგებობა რა არის?

ბეკი: გააჩნია რა უნდა ქარიზმატულობის შემთავაზებელს – ერთი ჯგუფის, ერთი თვისების და ხასიათის ადმიანების, თუ, ქვეყნის ხალხის ლიდერობა..

ჰეკლბერი: აა, ის ეუბნება რომ უნდა გახდეს მათი ლიდერი და რაღაც დროის განმავლობაში სხვადასვა მეთოდებით აჩვენებს როგორი მამაცი, მზრუნველი, პრინციპული და ასე შემდეგ არის...

ბეკი: და მერე უცბად ვიღაცეები აღმოაჩენენ, რომ ის ქარიზამატული ტიპი გახდა, ფართო საზოგადოება . . .

ჰეკლბერი: სხვადასხვა სიფართოვის სხვადასხვა შემთხვევაში

ბეკი: მაცალე, საზოგადოება თანახმაა – ზოგი სიხარულით, ზოგი ორჭოფობით, დაჰყვეს მის ნებას

ჰეკლბერი: ძალიან მოხერხებულად წარამოდგინე ქარიზმატულობა როგორც სექსუალური აქტის წინაპირობა

ბეკი: შეიძლება, მაგრამ სინამდვილეში . . .

ჰეკლბერი: სინამდვილეში?

ბეკი: უკაცრავად, თუნდაც, ეს ერთი პროცესის სხვადასხვა გამოვლენაა – შენ აზროვნებ თავისთავადგასაგებ მოვლენაზე, შედიხარ სასიყვარულო ურითიერთობაში, ხდები ქარიზმატული პოლიტიკოსი თუ უბრალოდ კომუნიკაციას ამყარებ ახალ ჯგუფთან – შენ ამით არსებული თავისთავადგასაგებობის რევიზიას ითხოვ და აღწევ, თუ წარმატებული ხარ

ჰეკლბერი: მაგრამ ხომ უნდა არსებობდნენ გაუზიარებელი შეთავაზებები.. ..

ბეკი: კი, და ასეთია ფილოსოფია

ჰეკლბერი: ვაი?

ბეკი: ჰო, ფილოსოფიური ტექსტები, თავისი სირთულის გამო, და ჩვენ ჩვენს დროში მე მგონი მივადექით იმ ეტაპს, სადაც ფილოსოფიური ტექსტის ერთადერთი მახასიათებელი სირთულე ხდება

ჰეკლბერი: ალბათ

ბეკი: ნუ მაწყვეტინებ. ეს ტექსტები თავისი სირთულის..

ჰეკლბერი: ან უსარგებლობის

ბეკი: ნუ მაწყვეტინებ, სირთულის გამო არ ზიარდება, ანუ, მათში აღწერილი თავისთავადგასაგებების გააზრება/რევიზია როგორც წესი – რთული გასაგებია – ამიტომ, ისინი განწირულები არიან წარუმატებლობისათვის

ჰეკლბერი: მეცნიერება?

ბეკი: როგორც იქნა დავბრუნდით სათაურთან

ჰეკლბერი: კარგა ორ-სამ-ოთხგვერდიანი გადახვევა გამოგვივიდა..

ბეკი: მეცნიერებას სხვა იარაღი აქვს, რითაც ის აიძულებს თავისთავადგასაგებობის საკუთარი გადახედვის/რევიზიის გაზიარებას

ჰეკლბერი: რა?

ბეკი: შედეგი – მაცივარი, ტელევიზორი, რაკეტა, შატლი, ავტომატი.. გავაგრძელო? მეცნიერება ახალი თავისთავადგასაგები საგნებით ავსებს ჩვენს სამყაროს, უმატებენ მას საგნებს.. შესაბამისად, მეცნიერებას მაცივრით აქვს ნაყიდი ინდულგენცია

ჰეკლბერი: ესეიგი, მეცნიერება განწირულია წარმატებულობისათვის სანამ საგნებით ავსებს სამყაროს?

ბეკი: ჰო, თანაც, აქ ორმხრივი პროცესია – ერთის მხრივ ადამიანი სულ უფრო და უფრო ხდება რაღაც ტექნიკური ჩვევების მატარებელი – მაგალითად, ოპერაციული სისტემის გამოყენების ჩვევის, ხოლო მეცნიერების მიერ მოწოდებული თავისთავადგასაგები საგანი სწორედ იმიტომ ხდება თავისთავადგასაგები, რომ ამ ოპერაციულ სისტემაში ხდება მისი შეფუთვა

ჰეკლბერი: ა?

ბეკი: აბა წარმოიდგინე, მაცივრის გამოყენებისათვის რთული გამოთვლის გაკეთება რომ გიწევდეს, ავტომატის ყოველი სროლისას ტყვიის ტრაექტორიის ქაღალდზე გამოთვლა.. არავინ არ იყიდიდა მათ და არ გამოიყენებდა

ჰეკლბერი: ყოველ შემთხვევაში ძალინ ცოტა – თვითონ მეცნიერები ალბათ, და ამ საგნების გამოყენება/წარმოება რთული

და ძვირი იქნებოდა – და სულ იდგებოდა საკითხი მეცნიერების გამოუსადეგრობის შესახებ..

ბეკი: ეგ ზუსტად აღწერს ფილოსოფიის გარემოს – ფილოსოფია არის მაცივრის ყოველი გამოყენებისათვის ყინულის შექმნის პროცესის თავიდან ბოლომდე ჩატარება და ტყვიის სროლისათვის ყოველი ტყვიის ტრაექტორიის გამოთვლა სხვადასხვა ფორმულებით

ჰეკლბერი: მახვილგონიერია, მაგრამ არა მგონია, ფილოსოფოსები ამაზე დაგეთანხმონ

ბეკი: ნუ დამეთანხმებიან, ნუგეშად რამდენიმე გვერდით უკან გადაფურცლონ და ააგონ თავითავადგასაგებობის ფილოსოფია, ვჩუქნი..

ჰეკლბერი: რა ცინიზმია, თანაც თავხედური

ბეკი: რატომ – არც არაფერი იკარგება ბუნებაში

ჰეკლბერი: და მეცნიერება?

ბეკი: მეცნიერება წარმატებული ფილოსოფიაა, რომელმაც მიაგნო თავისთავადგასაგები საგნების, ან უბრალოდ, საგნების შექმნის გზას

ჰეკლბერი: ფილოსოფიურ ქვას?

ბეკი: ჰო, მეტი რა არის აზროვნების ისტორია, თუ არა საგნების შემქმნელის და გარდამქნელის ძებნა? იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურაზე – ლიტერატურაც ამრავლებს სამყაროს საგნებით/სიტყვებით – წიგნებით, ფაილებით, ტექსტებით – ისიც თავისთავადგასაგებობის ამოცანის ამოხსნაა

ჰეკლბერი: ჰო და რაც ვერ იხსნება და რაც წარუმატებელია – მეცნიერებაში და ლიტერატურაში – არის ფილოსოფია და სხვა მისი მსგავსნი

ბეკი: ასე პირდაპირ?

ჰეკლბერი: ჰო

ბეკი: მოკლედ, აზროვნების ისტორია ასე გამოგვივიდა –

ჰეკლბერი: გამოგვივიდა? მე მხოლოდ გისმენ

ბეკი: გეშინია? ფილოსოფია და სხვა ყველა მას მიმსგავსებული არის რელიქტური, მემკვიდრეობა რომელიც დაიცალა სიტყვების და საგნების შექმნის უნარიდან, და მაინც შენარჩუნდა ალბათ, არასწორი წარმოდგენის გამო, რომ რაკი ლიტერატურა და მეცნიერება იქიდან გამოვიდნენ, რასაც მერე ფილოსოფია ეწოდა, იქნებ კიდევ მოხდეს რამეს გამოსვლა იქიდანო..

ჰეკლბერი: ისე, ხანდახან ხდება კიდეც..

ბეკი: მაგალითად?

ჰეკლბერი: მაგალითად – ფილოსოფიური ტექსტები ხანდახან გავლენას რომ მოახდენს ლიტერატურაზე და მეცნიერებაზე..

ბეკი: ეგეც ხდება, მართალი ხარ – მაგ იმედით არსებობს ეგ რელიქტი – რომ იქნებ რამეზე მოახდინოს გავლენა. მაგრამ ეს ისე იშვიათად ხდება, რომ ფილოსოფიის ისტორია ასეც შეიძლება წარმოვიდგინოთ – გავლენის მოხდენიდან გავლენის მოხდენამდე, რამდენიმე საუკუნიანი ინტერვალებით..

ჰეკლბერი: მაგრამ გავლენები ხომ არსებობს

ბეკი: ისე, კაცმა არ იცის, ეს გავლენები მართლა გავლენებია, თუ საერთო სტრუქტურები

ჰეკლბერი: რას გულისხმობ?

ბეკი: იმას, რომ მე რომ არ ვიცოდე, რომ სერიოზული სამეცნიერო ნაშრომის უკან ტელევიზორი ან კონდიციონერი იჭყიტება, რა თქმა უნდა, იმ ტექსტს ბოდვად შევრაცხავდი, რომელიც არ იქნებოდა უფრო ზუსტი, ვიდრე ნებისმიერი ცნობილი თუ უცნობი ფილოსოფიური ტექსტი

ჰეკლბერი: მაგრამ სამეცნიერო საზოგადოება..?

ბეკი: მერწმუნე, ჩემო პატარა მეგობარო, სამეცნიერო და ფილოსოფოსთა საზოგადოებებმა რაც არ უნდა ამტკიცონ, მაცივარი ყოველთვის გადამწყვეტ სიტყვას ამბობს

ჰეკლბერი: მაშინ გამოდის, რომ თავისი სტრუქტურით და შინაარსით ეს ორი მიმართულება – ანუ, მეცნიერება და ლიტერატურა ერთ მხარეს – ხოლო მეორე მხარეს ფილოსოფია – პრინციპში ერთი და იგივეა..

ბეკი: ჰო, თუ არ გავითვალისწინებთ რაზე აზროვნებენ ისინი და რაზე ფიქრობენ, და რა საგნები უნდათ რომ გააკეთონ – მეცნიერების და ლიტერატურის დასაწყისი თავისთავადგასაგებებზე ფიქრია, ის არის ამოსავალი და ამოცანაც არის სხვა თავისთავადგასაგებების -საგნების და სიტყვების გამრავლება. ფილოსოფია კი თავისთავადგასაგების გარდაქმნას ცდილობს,

ჰეკლბერი: იმან რომ თქვა, სეირნობა რომ უყვარდა – საგნების გამრავლებით სამყაროს ვერ შეიმეცნებო

ბეკი: და აი სწორედ ეს იყო წყალგამყოფი რამაც ფილოსოფია სხვა გზით წაიყვანა

ჰეკლბერი: აუფ, აღმოაჩინე, ხომ თავი და თავი, შეეშვი ამ მარტინის წრუპვას

ბეკი: კარგი, კარგი, ხუმრობაც არ შეიძლება?

ჰეკლბერი: ჰო და იმაზე ვლაპარაკობდით, მაცივარი რომ იჭყიტება მეცნიერების უკნიდან

ბეკი: და რომ სხვაფრივ – მისი წარმოება და კვლავწარმოება ისეთივე გაუგებარია, როგორც, მაგალითად ფილოსოფია.. . .

ჰეკლბერი: ცოტასთვის არის გასაგები

ბეკი: ხო, მაგრამ ეს ცოტა არ არის მათი არსებობის გარანტია

ჰეკლბერი: მაგრამ საინტერესო სხვაა

ბეკი: რა?

ჰეკლბერი: მაგალითად, თუ ეს ორი რამე პრინციპულად ერთნიარად იქცევა, რატომ აკეთებს ერთი საგნებს, და მეორე არა?

ბეკი: ვერა

ჰეკლბერი: ქალის სახელი გათქმევინე

ბეკი: იაფფასიანი ჩანართია, ამით თავს თავს ვერავის მოაწონებ

ჰეკლბერი: მერე რა, მარტო შენ უნდა იხუმრო?

ბეკი: კარგი.. საგნების და სიტყვების კეთებას რაც შეეხება, ხომ გითხარი, მეცნიერება არასწორი ფილოსოფიაა, რომელიც ცდილობს საგნების გამრავლებით გაიგოს თავისთავადგასაგებობა, ფილოსოფია კი არასწორი მეცნიერება, რომელიც თავისთავადგასაგებში ჩაღრმავებას ცდილობს, და ამით ასევე ამრავლებს საგნებს, როგორც რამდენიმე გვერდის წინ ვლაპარაკობდით..

ჰეკლბერი: მაინც არ მომწონს შენი ახსნა – შენი ახსნით არ მესმის, როგორაა რომ ტექნიკა და სიტყვა გამოდინარეობენ რაღაც მსჯელობიდან?

ბეკი: ანუ, მაცივარი და ლექსი?

ჰეკლბერი: ჰო

ბეკი: ეგ საინტერესო კავშირია – როგორ მრავლდებიან სიტყვები და საგნები.. თავიდან მსჯელობებს ზედაპირული და შედეგობრივი კავშირი უნდა ჰქონოდათ საგნებთან – თოხის და ნაჯახის გამოგონებას, ამას პალეონტოლოგიაც გვიდასტურებს, არ უნდა ჰქონოდა მეტაფიზიკური მსჯელობები წანამძღვრებად – ეს მსჯელობები, რომ ნაჯახი ვიღაც ღმერთმა გამოსჭედა და მერე მისცა ადამიანებს, პოსტ-ნაჯახუმ უნდა გაჩენილიყო

ჰეკლბერი: მაგრამ მაცივრის შემთხვევაში ასე ხომ არ არის –

ბეკი: არ დამიმთავრებია – პოსტ-ნაჟახუმ უნდა გაჩენილიყო საღი აზრით, მაგრამ პირველი ნაჯახი ისეთი მოუხერხებელი და უაზრო იქნებოდა, მხოლოდ სარიტუალოდ თუ გამოიყენებდნენ და მერე მოიხვეწ-დაიხვეწებოდა როგორც ყოვლედღიურობაში გამოსაყენებელი

ჰეკლბერი: ისევე როგორც პირველ მაცივარს სამხედრო-სამეცნიერო დანიშნულება თუ ექნებოდა და შემდეგ მოხდებოდა მისი სამზარეულოებში დადგმა..

ბეკი: ალბათ ჰო.. ჩვენ რომ გვგონია, რომ ნაჯახი და თოხი თავისით გამოგონებულია, ხელმარჯვე ოსტატების მიერ. ეს ალბათ არასწორი წარმოდგენაა, ნაჯახს და თოხს ჯერ რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდა, და მერე უნდა გადასულიყო საყოფაცხოვრებო ნივთების კატეგორიაში

ჰეკლბერი: ჰოდა მივედით იმ დასკვნამდე, რომ მეცნიერება, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად და სოციალური არსებობის წესით არ განსხვავდება ფილოსოფიისაგან, და სხვა მსგავსი საქმიანობებიდან, ყოველდღიურ აღქმაში წარმატებული საქმიანობაა, რაკი მისი შედეგი ტექნიკაა

ბეკი: სხვანაირად რომ ვთქვათ, ის რაც ხელს გვიშლის მეცნიერება ბოდვად და გონებრივი უწესრიგობის ფორმად ვაღიაროთ, არის მისი წარმატებული შედეგები. თუმცა, მკაცრად რომ დავითვალოთ, რამდენი ადამიანი აწარმოებს და რამდენი რესურსები იხარჯება მეცნიერების წარმოებაზე და შემდეგ შევადაროდ ის ტექნიკის წარმოაებას და კვლავწარმოებას – ალბათ ძალიან მცირე მარგი ქმედების კოეფიციენტს მივიღებთ

ჰეკლბერი: მაგრამ გეტყვიან, რომ ამის დათვლა არ შეიძლება, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო და უშედეგო მოქმედებები საბოლოო ჯამში იძლევიან შედეგს

ბეკი: შეიძლება, მაგრამ სანამ ტექნიკის წარმოება არ შეწყდება, და როგორც ჩანს არ შეწყდება, ამას ვერ გავიგებთ

ჰეკლბერი: ნუ გავიგებთ მერე..

ბეკი: მართალია. ხომ მივედით დასკვნამდე, რომ ადამიანის სტრქუტურულ მოქმედებებს საბოლოო ჯამში ერთი და იგივე ფორმა აქვთ.. და რომ ეს ყველა მოქმედება შეიძლება აღვწეროთ, როგორც საგნების წარმოების და გამრავლების პროცესი

ჰეკლბერი: ეხლა ხომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, როგორ ხდება თვითონ ამ მოქმედებებს შიგნით ეს ყველაფერი?

ბეკი: ჯერ კარგად რომ მოვიფიქროთ, რა არის საგნების წარმოების ეს ორი წესი – ერთის მიხედვით საგნების წარმოება საგანშივე ჩაღრმავებით და ფაქტიურად, საგნის "გაყოფით" ხდება, მეორის მიხედვით – არსებულისათვის კიდევ მსგავსი საგნების დამატებით: ანუ, პირველი მათგანი სხვა რეალობას ქმნის და ასე ამრავლებს საგნებს, მეორე – იმავე რეალობაში სადაც სხვა საგნები იმყოფებიან

ჰეკლბერი: ანუ, ფილოსოფია და მეცნიერება, არა?

ბეკი: ეგ ძალიან გამარტივებაა – ასეთი დაყოფა მე მგონი უნივერსალურია და ყველანაირი დაყოფის საფუძველია – ადამინებიც ხომ ორი ტიპის არიან - ისინი, ვინც დარწმუნებულები არიან, რომ საკუთარ თავში ნახავენ ყვეალფრის ძალებს, და სხვები, რომელიც ამისათვის სხვათა დახმარებას საჭიროებენ

ჰეკლბერი: ანუ, როგორც მისტიკოსი და შეყვარებული?

ბეკი: მე მგონი კარგი მაგალითია – მისტიკოსის შედეგი სხვა რელობის შექმნაა, შეყვარების კი – ბავშვები, ანდა, ბოლოს და ბოლოს ამ სამყაროში ახალი ბმის შექმნა, სექსუალურ ბმას ვგულისხმობ . .

ჰეკლბერი: "ბმის" – რა ცინიკურია, თითქოს ძაღლებზე ლაპარაკობ

ბეკი: სამაგიეროდ ზუსტი

ჰეკლბერი: ბავშვების, ისევე, როგორც მეცნიერებიდან ტექნიკის?

ბეკი: დაახლოებით

ჰეკლბერი: და ყველაფერი შეგვიძლია დავყოთ ამ მარტივი ხერხით?

ბეკი: ყველაფერი, ადამიანები, სისტემები,

ჰეკლბერი: პოლიტიკურიც?

ბეკი: პოლიტიკურიც

ჰეკლბერი: მაგალითად?

ბეკი: მაგალითად, ტოტალიტარული სისტემა ისეთია, რომელიც თავისი არსებობის წყაროს თავის თავშივე ეძებს, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ დონეზე..

ჰეკლბერი: ჰი, ჰი, და დემოკრატიული, რომელიც თავისი კავშირების და ბმების გაფართოებით?

ბეკი: ცოტა სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ ეგრეა.. სხვა მაგალითიც ავიღოთ

ჰეკლბერი: მაგალითად მეცნიერება.

ბეკი: კი ბატონო – შიგნით მიმართული – ტექსტოლოგიები და ლიტერატურათმცოდნეობები, და გერეთ მიმართული - ექსპერიმენტული და ა.შ.

ჰეკლბერი: მათემატიკა?

ბეკი: თეორიული პირველებში, გამოყენებითი – მეორეებში...

ჰეკლბერი: კარგი, შევეშვათ ახლა ბმების ძიებას, არ ჯობია ისევ დავუბრუნდეთ როგორ ხდება ნაჯახების და მაცივრების კეთება?

ბეკი: მოდი ცოტას ვიმსჯელებ: თუკი პრინციპულად ერთი და იგივეა ნაჯახი და მაცივარი, მაშინ ხომ უნდა დავუშვათ ისიც, რომ მათი შექმნის მიზეზიც ერთი და იგივე უნდა იყოს

ჰეკლბერი: მოდი შეგეშველები: რაკი ეგრეა, და როგორც ადრე ვთქვით, თუ ნაჯახს თავიდან რიტუალური გამოყენება უნდა ჰქონოდა, მაშინ მისი წყარო მითები/რელიგიები უნდა ყოფილიყვნენ.

ბეკი: ხოდა გავაგრძელებ - თუ მითები და რელიგიები ნაჯახებს აკეთებენ, ხოლო მეცნიერება მაცივრებს

ჰეკლბერი: ხანდახან ნაჯახებსაც,

ბეკი: მაშინ ეს ამბავი ასე უდა მოვყვეთ: ჯერ მითები ამრავლებდნენ საგნებს, შემდეგ მეცნიერება. მითებს მეცნიერება ჩაენაცვლა

ჰეკლბერი: ესეიგი, მეცნიერება მხოლოდ იმიტომ ჩაენაცვლა მითებს, რომ უფრო წარმატებულად და სწრაფად ამრავლებს საგნებს?

ბეკი: ჰო, უფრო სწორად, ამიტომ გახდა დომინანტური, მითები ხომ არ გამქრალან..

ჰეკლბერი: არ გამქრალან, მაგრამ საგნების გამრავლების ფუნქცია აშკარად მეცნიერებამ ჩამოართვა..

ბეკი: ფილოსოფია კი დარჩა იმად რაც იყო

ჰეკლბერი: ან გართულდა, რამდენიმე ფილოსოფოსს თუ ვკითხავთ

ბეკი: ისე, გამოდის რომ მეცნიერება მისტიკოსის მეთოდით ამუშავებს საკითხს, და საგნების გამრავლებას - სხვა სივრცის შექმნით სწავლობს

ჰეკლბერი: და ბოლოს რა შედეგს მივიღებთ?

ბეკი: ძალიან ცოტა თუ დაგვიჯერებს

ჰეკლბერი: პირიქით რომ გვექნა?

ბეკი: ანუ, საგნების გამრავლებით მივდგომოდით?

ჰეკლბერი: ჰო

ბეკი: ალბათ იგივეს, ან რაც უკვე მომხდარა – ფილოსოფიას საქმე აღარ აქვსო, რომ ამბობდნენ..

ჰეკლბერი: დავბრუნდეთ, რა

ბეკი: კი ბატონო, მაგრამ სად?

ჰეკლბერი: აი იქ, ნაჯახების და მაცივრების მიზეზებზე რომ ვლაპარაკობდით

ბეკი: სადაც ვთქვით, რომ ნაჯახები და მაცივრები მითებმა და მეცნიერებებმა წარმოშვეს?

ჰეკლბერი: ჰო

ბეკი: კარგი, გავაგრძელოთ – მითები კი როგორც ამბობენ, იმ სოციალური გარემოს ანარეკლები არიან, რომელშიც ჩნდებიან ხოლმე

ჰეკლბერი: ან პირიქით

ბეკი: რა – სოციალური გარემოები არიან მითების ანარეკლები?

ჰეკლბერი: ამბობენ

ბეკი: ლამაზია, მაგრამ ნაკლებად სარწმუნო. ჩვენ მართალია, ჯერ მითებს ვითვისებთ და მერე ხდება ჩვენი გარემოში შესვლა, მაგრამ ყოველი მითი რაღაც გარემოში იქმნება, ასე რომ ისტორიულად ჯერ გარემო და მერე მითი, თუმცა ფსიქოლოგიურად სულ პირიქით

ჰეკლბერი: და როგორც ხდება ეს არეკვლა?

ბეკი: საკმაოდ მარტივად: ის იერარქიული სტრუქტურა, რომლიც მითებშია გადმოცემული, განსაკუთრებით კოსმოგონიურ მითებში, თითქმის ზუსტად ასახავს იმ სოციალურ სტრუქტურას, რომლშიც ამ მითების ხალხი ცხოვრობდა

ჰეკლბერი: შეგიძლია მომიყვე როგორ?

ბეკი: როგორ არა – აი ნახე: ყველა კოსმოგონიური მითი ასე გამოიყურება - ჯერ არის დემიურგი

ჰეკლბერი: ან კვერცხი, ან იხვი, ან სხვა რამე

ბეკი: ჰო, მერე ეს კვერცხი

ჰეკლბერი: ან დემიურგი

ბეკი: იყოფა ან ქმნის, ან დემიურგი ქმნის კვერცხს, რომელიც იყოფა, ან კვერცხი დემიურგს, იყოფა და ქმნის დამხმარე ძალებს, ღმერთებს, დემონებს, არსებებს..

ჰეკლბერი: მერე?

ბეკი: მერე ეს დამხმარეები ქმნიან მიწას, ხილულ სამყაროს, ჩვენ რომ ვიცნობთ და ასე შემდეგ. მერე დემიურგი მართავს ყველაფერს ამას დამხმარეების საშუალებით..

ჰეკლბერი: სოციალური სტრუქტურა?

ბეკი: რომ დააკვირდე, 20, 30, 40 საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა ამ სტრუქტურით ცხოვრობდა და დედამიწის ზოგიერთ ადგილებში ეხლაც ასე ცხოვრობს – ანუ – სტრუქტურის სათავეში დგას ბატონი, იმპერატორი, მეფე, მას ჰყავს ვასალები, რომლიბიც მისი სახელით მართავენ სახელმწიფოს, სოფელს, საბატონოს

ჰეკლბერი: ასე მარტივია?

ბეკი: მეტ-ნაკლებად. ეს სტრუქტურა დღესაც შენარჩუნებულია ალაგ-ალაგ, ზოგან ფორმალურად, ზოგან რეალურად.. ეს ყველაზე ძველი სტრუქტურაა, რომლიც ყველაზე დიდხანს არსებობდა და დღესაც არსებობს, ალაგ-ალაგ..

ჰეკლბერი: ჰო, მაგრამ მეცნიერებაზე ამის თქმა შეიძლება? ის ხომ ექსპერიმენტებზეა დაფუძნებული, სანდო და უეჭველ შედეგებზე

ბეკი: აბა რა გითხრა.. ამდენი ხნის ლაპარაკის, თითქმის თორმეტი გვერდის შემდეგ ისევ ექსპერიმენტის უეჭველობაზე ლაპარაკობ

ჰეკლბერი: აბა რაზე უნდა ვილაპარაკო?

ბეკი: იცი რა, მოდი ჯერ ისევ მითებს და მეცნიერებებს დავუბრუნდეთ, და მერე გადავიდეთ ექსპერიმენტებზე, ეს მალე მოხდება

ჰეკლბერი: კარგი

ბეკი: ეს ნაკლებად გავრცელებული აზრია, მაგრამ მეცნიერების თეორიები სამყაროს შესახებ სოციალური გარემოს ისეთივე ანარეკლია, როგორც მითები. აბა ნახე – დიდი აფეთქების თეორია გვიყვება, როგორ წარმოშვა დიდმა აფეთქებამ სამყაროს ოთხი ძირითადი ურთიერთქმედება

ჰეკლბერი: როგორც დიდმა ღმერთმა საშუალო ღმერთები?

ბეკი: ჰო, და მერე ამ ოთხი ძირითადი ძალის ურთიერთქმედებით როგორ შეიქმნა სამყარო

ჰეკლბერი: ვაა

ბეკი: დიდი აფეთქების თეორია ალბათ დემიურგული სტრუქტურის ბოლო თეორიაა.. სხვა უფრო საინტერსოა - ატომის პლანეტარული მოდელი ხომ იცი?

ჰეკლბერი: აი, ცენტრის გარშემო რომ ბრუნავს ელენეტები და რამე?

ბეკი: ჰო. ეგ თეორია მაშინ შეიქმნა, საზოგადოებაში შინაგანი ცენტრის და პერიფერიის სტტრუქტურები უკვე კარგა ხანია მოქმედებდნენ – სოციალური სტრუქტურა, სადაც ზევით და ქვეევით კი არ არის მთავარი, არამედ შინგით და გარეთ – გული შიგნითაა, შესაბამისად მმართველობაც, პერიფერია – გარეთ. მაგრამ ყველაფერი ერთიანია და ნაწილები არ არიან მთელის გარეშე. ასეთი სტრქუტურისაა მაგალითად მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის სახელწიფო, ნაციონალური სახელწმიფოს იდეაც ამ სტრუქტურას ეფუძნება - მთელი, სადაც გარკვევით ვიცით ცენტრი-მამოძრავებელი და პერიფერია – ამოძრავებული.

ჰეკლბერი: კიდე?

ბეკი: კიდე.. – ახალი თეორიები – სამყაროს მრავალგანზომილებიანობას რომ აღწერენ და ამბობენ რომ არსებობენ სხვა განზომილებები და სამყაროები – სხვა არაფერია, თუ არა საინფორმაციო ტექნოლოგიებით და პოლიტიკური ძვრებით მიღებული მრავალფენიანი, უცენტრო სოციალური სამყარო, სადაც კავშირების და ბმების რეალურად უსასრულო შესაძებლობები არსებობს: პოლიტიკური, ისევე როგორც ბიოლოგიური სამყარო მხოლოდ ერთერთია, მისგან ფაქტიური დამოუკიდებლობით, თუმცა მასთან ბმაში, ან სულაც ბმის გარეშე, არსებობენ სხვადასხვა – ხელოვნების, რელიგიური სამყაროები, სხვადასხვა ჯგუფები, ადრე რომ ერთ ცალკეულ სახელმწიფოში მარგინალურს ეძახოდნენ და დღეს ვერ დაარქმევ ამას, რადგან აქტუალურად არიან მთელს მსოფლიოში და ათასობით, ზოგჯერ კი მილიონობით წევრსაც ითვლიან

ჰეკლბერი: ეგ ჯგუფები ხომ ძალიან ფარდობითი იყო, მაგალითად, ბუდისტები ჩვენთან მარგინალური იყო, ინდოეთში ცენტრალური

ბეკი: ჰო, მაგრამ თანამედროვე სოციალური სამყარო იმით გამოირჩევა, რომ ყველა ეს ჯგუფი როგორც ცალკე სამყარო ისე არსებობს, თავისი წესებით და კანონებით, ეკონომიკით და კულტურით და ასე შემდეგ. მე შეიძლება დავრჩე ჩემს სამყაროში, შეიძლება ერთდროულად რამდენიმეში ვიხცოვრო.. ეს

სამყარო მრავაცენტრიანია და უპერიფერიო.. მე რომ პერიფერია მგონია, შეიძლება სხვა სოციალური სამყაროს ცენტრი აღმოჩნდეს და ასე უსასრულოდ..

ჰეკლბერი: და თეორიები, რომლებიც ამბობენ..

ბეკი: ჰო, რომლებიც ამბობენ, რომ ეს სამყარო არ არის ერთადერთი, რომ ეს ადამიანი არ არის ერთადერთი ვინც აზროვნებს – ცხოველებიც აზროვნებენ და ისევე ცხოვრობენ, როგორც ადამიანები – უყვართ, ბრაზობენ, ფიქრობენ, და ასე შემდეგ – ამ გლობალური სოციალური სტრუქტურის ანარეკლია.

ჰეკლბერი: ალბათ ისიც არ არის შემთხვევითი, ასეთი თეორიები იქ რომ ვითარდება, სადაც ამ გლობალური სტრუქტურის კვალი კარგად ჩანს – აშშ-ში, ინგლისში..

ბეკი: საინტერსო აზრია

ჰეკლბერი: ისე მე მგონი მართალი ხარ.. კარგად რომ გავაანალიზოთ, თომა აკვინელის შრომების განხილვის და დასკვნების სტრუქტურა შეიძლება ველების შესახებ თანამედროვე თეორიებსაც კი დაემთხვეს

ბეკი: ანგელოზები და ველები? რატომაც არა, ეს ხომ უკვე გააკეთა ვიღაცამ..

ჰეკლბერი: ძალიან კი გაგვიტაცა ამ კავშირების დანახვამ, მაგრამ იგივე უნდა გითხრა, რაც ცოტა გვერდის წინ გითხარი – ექსპერიმენტების და დაკვირვებებს რა ვუყოთ?

ბეკი: ახსნა მარტივია – მეცნიერი უყურებს ექსპერიმენტის ან დაკვირვების შედეგს და მასში არსებულ კონსრტუქციას უსადაგებს ამ შედეგის გადმოცემას, და მეტი არაფერი..

ჰეკლბერი: სულ არაფერი?

ბეკი: თითქმის

ჰეკლბერი: ანუ, ამბობ, რომ ექსპერიმენტის და დაკვირვების შედეგსაც სოციალური სტრუქტურა განსაზღვრავს?

ბეკი: ჰო, მაგრამ მარტივად არა, გახსოვს, ცოტა გვერდის წინ რომ ვთქვით – საგნების გამრავლების მიმართულება – თუკი ეს ახსნა არ ადგება საგნების გამრავლებას, მაშინ სხვა, უფრო გამოსადეგი ახსნაა მოსაძებნი..

ჰეკლბერი: შენ ამბობ, თუ ჩვენი საზოგადოების სტრუქტურა შეიცვალა, სამყაროც შეიცვლება?

ბეკი: სინამდვილეში არა, თუმცა რა არის სინამდვილე?

ჰეკლბერი: უფ, უფ

ბეკი: როგორც არის, უფრო ზუსტი იქნება – სმაყაროს აღწერა, ფენომენოლოგია შეიცვლება

ჰეკლბერი: და მაშასადამე სამყაროც.. მაგრამ საზოგადოება ხომ მეტ-ნაკლებად გლობალურად უნდა შეიცვალოს, მისი გაზიარება რომ მეტ-ნაკლებად აბსოლუტური გახდეს..

ბეკი: მართალია, ასე უნდა მოხდეს, და ეს როგორც ხდება... ამაზე შეიძლება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ტომები დაიწეროს..

ჰეკლბერი: კვლევის საინტერესო თემაა – მაგალითად როგორ მოხდა ატომის პლანეტარული მოდელის აღმოჩენა – სოციალური ცვლილებები, რამაც ეს განაპირობა.. მაგარია

ბეკი: კი, მაგრამ საფრთხილო – ვულგარულ სოციოლოგიზმში შეიძლება გადავარდე.. თანაც – ეს კვლევა საკმაოდ რთულია – უნდა მოახერხო აერიდო მარტივი კავშირების დანახვას... მეორე მხრივ, შეიძლება ეს სულაც არ იყოს საჭირო და შემოვიფარგლოთ დაშვებით, რომ სოციალური გარემო ისე შედის მეცნიერში რომ მას არც ეკითხება

ჰეკლბერი: ასე..?

ბეკი: ჰო, ასე უფრო ადვილია.. თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონკრეტული მეცნიერი კონკრეტულ აღმოჩენას შეიძლება, და ნამდვილადაც, სულაც არ აკეთებს საგნების გამრავლებაზე მიმართულობით და პირიქით, სამყაროების შექმნას ცდილობს, საგნების ბუნებაში ჩაღრმავებით

ჰეკლბერი: ესეც უნდა იყოს.. ყველა მეცნიერი არ არის საგნების გამრავლებაზე, ანუ, დამხმარეების მოხმობაზე მიმართული, ისევე, როგორც ყველა ფილოსოფოსი – საკუთარ თავზე

ბეკი: მართალი ხარ.. ჩვენ ყოველთვის ადამიანებად ვრჩებით, და გარეთ მიმართულობა საგნების გამრავლებაზე, თუ შიგნით – სამყაროების შექმნაზე – ან ჩვენს ბუნებაში ძევს, ან ჩვენს მიერ შექმნილი საკუთარი თავია..

ჰეკლბერი: ესეიგი მე ან სამყაროებს ვქმნი, ან საგნებს ვამრავლებ?

ბეკი: ალბათ ყოველი კონკრტული ადამინი ორივეს აკეთებს – უბრალოდ მასში რომელიმე სჭარბობს ხოლმე

ჰეკლბერი: ჩემში?

ბეკი: როგორც ავტორი გადაწყვეტს

ცხოველები და სხვა ღვთიური არსებები

დი: ჩუნის პროვინციაში გუბერნატორმა მგლებზე ნადირობა გამოაცხადა

თეთრი ორქიდეა: რატომ?

დი: ბავშვებს დასხმიან თავს

თეთრი ორქიდეა: ბევრი?

დი: არა, ერთი

თეთრი ორქიდეა: მერე ერთი მგელის გამო ყველაზე ნადირობა?

დი: არა, სხვა დროსაც აწუხებდნენ მოსახლეობასო

თეთრი ორქიდეა: ااااا

თეთრი ორქიდეა: რაღაც დაფიქრდი

დი: ისევ ავტორზე – აბა ასე დაწყებულმა დიალოგმა სანამდე უნდა მიგვიყვანოს

თეთრი ორქიდეა: რა იცი რა უნდა, რას გაიგებ..

დი: მორჩი ახლა ავტორის ყოვლისშემძლეობაზე ლაპარაკს, თან ტანით ვგრძნობ, რომ სულ სხვა რამე უნდა ჩვენგან

თეთრი ორქიდეა: ტანით?

დი: ჰო, რა იყო, რო არ მაქვს იმიტომ, თუმცა, მეორე მხრივ, არც პირი მაქვს და არც ცნობიერება

თეთრი ორქიდეა: პირი და ცნობიერება იგულისხმება, ტანის ქონა კი არა

დი: მე მგონი ტანის ქონაც იგულისხმება, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ავტორის მიერ მაინც

თეთრი ორქიდეა: ჰოდა, თუ გვაქვს ტანი, დავუბრუნდეთ ჩვენს მგლებს

დი: რას ამბობდი, მგლების გამართლება რომ გინდოდა?

თეთრი ორქიდეა: ისეთს არაფერს, უბრალოდ რამდენიმე ამბავია – ჯერ ერთი, მგელი თუ ნადირობს ადამიანების საცხოვრებლის ახლოს, იქ არ ცხოვრობს, არამედ მაქსიმალურად შორს, მეორეც – ყველა მგელი არ ნადირობს შინაურ ცხოველზე, არამედ მხოლოდ დასუსტებულები ან ხროვიდან გამოგდებულები

დი: უფრო ადვილი რომ არის შინაურ ცხოველებზე ნადირობა იმიტომ?

თეთრი ორქიდეა: ჰო, და კიდევ – აქედან გამომდინარე, თუ ჩუნის პროვინციის გუბერნატორი ახლო-მახლო ტყეებში სადამსჯელო ოპერაციებს მოაწყობს, დიდი შანსია ისეთი მგლები დახოცოს,

რომლებიც საქონელზე და ადამინებზე თავდასხმაში არ არიან დამნაშავეები

დი: ანუ, სწორედ ისეთი მგლები, რომლებიც სწორედ ტყეში ნადირობით ირჩენენ თავს და ამიტომ ტყის მეზობელი სოფლიდან არ ელოდებიან თავდასხმას?

თეთრი ორქიდეა: ჰო, და შედეგად მივიღებთ, რაც უფრო მეტი შინაურ საქონელზე არამონადირე მგელს მოკლავენ, მით უფრო გაიზრდება ისეთი მგლების რიცხვი, რომლებიც ადამინებზე ან შინაურ საქონელზე ინადირებენ

დი: და მათი მოკვლა სულ უფრო და უფრო აუცლებელი გახდება

თეთრი ორქიდეა: მართალი ხარ, შედეგად – ჩუნის პროვინციის გუბერნატორი იმპერატორს, ან სხვა, მეზობელი პროვინციების გუბერნატორებს სთხოვს დახმარებას და მგელი ჩუნის პროვინციის ტყეში საერთოდ აღარ იქნება

დი: მესმის, რომ ბარბაროსულ რამეს ვიტყვი, მაგრამ რომ არ იყოს, რა მოხდა მერე?

თეთრი ორქიდეა: ტყეში ბალანსი დაირღვევა

დი: რა – ბალახისმჭამელები გამრავლდებიან, და შინაურ საქონელს საძოვარი აღარ ექნება?

თეთრი ორქიდეა: ასე პრიმიტიულად არ არის საქმე – ბოლოს და ბოლოს იმ ბალახისმჭამელებს, რომც გამრავლდნენ – ადამიანები დაურეგულირებენ რაოდენობას

დი: აბა რაშია პრობლემა – რატომ უნდა ვინაღვლო ვიღაც მგლებზე – მეყოლება ერთი-ორი ზოოპარკში ან რამე დაცულ ტერიტორიაზე და მორჩა

თეთრი ორქიდეა: პრობლემა იმაშია, რომ ბალახისმჭამელები უბრალოდ კი არ გამრავლდებიან – გადაგვარებას დაიწყებენ

დი: ეს როგორ? ააა, ტყის სანიტარი, ტყის ექიმი და ტყის მესაიდუმლე

თეთრი ორქიდეა: ეგ ტყის სანიტრობა ბევრს პირდაპირი მნIშვნელობით ესმის – ანუ, მგელი სუსტს და ავადმყოფს ჭამს. სინამდვილეში საქმე უფრო რთულადაა და საინტერესოდ

დი: აბა მითხარი

თეთრი ორქიდეა: აი გეუბნები – ჯერ ცოტა შორიდან უნდა დავიწყო – ტყეში ცხოველები ერთიან სისტემას წარმოადგენენ – ისინი ერთმანეთთან ღრმა და საინტერესო კავშირში არიან, რაც არ ამოიწურება შეჭმა-გაქცევით..

დი: ხომ ვთქვი – სანიტრობა მეთქი

თეთრი ორქიდეა: მაცალე – მაგალითად – როდესაც ტყეში მგელი აღარ არის, ხარირმების ასაკი განუზომლად იზრდება – სანამ მგელი ტყეშია, ის შემოდგომის შეჯვარებების შემდეგ დასუსტებულ ხარირმებზე ნადირობს და ამით ხელს უწყობს მეორე წელს ახალგაზრდა ხარირმების გამეფებას

დი: ანუ, ახალგაზრდა ხარიხმებს საშუალება ეძლევა შეჯვარდნენ ფურებთან?

თეთრი ორქიდეა: ჰო, ნუ მაწყვეტინებ.. როცა ასეთი რამე არ ხდება, უფრო ასაკოვანი ხარირემი ახალგაზრდა ხარირმებს გამრავლების საშუალება არ აძლევს, და რაც უფრო ბერდება ხარირემი, მეტ უფრო არასრულყოფილ შთამომავლობას იძლევა

დი: კი მაგრამ, ოდესმე ხომ მოკვდება?

თეთრი ორქიდეა: როგორ არ მოკვდება, მაგრამ ამ პერიოდში ყოფილი ახალგაზრდა ხარ-ირმები უკვე გაძლიერებულნი არიან და ისინი კი იკავებან მის ადგილს, მაგრამ მათ უბრალოდ არ იციან როგორ უნდა შეჯვარდნენ, არც უნდათ

დი: რა იმპოტენტები ხდებიან?

თეთრი ორქიდეა: ფაქტიურად, ხოდა, მიუხედავად ფაქტიური იმპოტენციისა, რაც ხანდახან ანანიზმში გამოიხატება, ახალგაზრდა ხარიხმებს არ უშვებენ ფურირმებთან – თვითონაც ვერ შვებიან ვერაფერს და არც სხვას არ აძლევენ ამის უფლებას. მერე იგივე მეორდება – ბებერი ხარირემი კვდება და მის ადილს ახალგაზრდა, ისეთივე პრაქტიკულად იმპოტენტი ხარირემი იკავებს. შესაბამისად, მათი რიცხვი, თუკი ჯერ იზრდება მგლების ამოწყვეტასთან ერთად, მერე მცირდება

დი: ეს მართლა უბედურებაა

თეთრი ორქიდეა: მაგრამ არა ერთადერთი – ირმების რიცხვის გაზრდა სხვა სახეობების გაქრობას იწვევს – მაგალითად, ზოგან არჩვი ირმის ნაძოვარზე ძოვს. როდესაც ირმების რიცხვი იზრდება, არჩვის ადგილი უბრალოდ ქრება და ისიც ქრება ხოლმე

დი: ეგეც არ არის მთლად დიდი უბედურება, ზოოპარკში გვეყოლება

თეთრი ორქიდეა: სხა რამეც ხდება – ძაღლები შედიან ტყეებში და მერე ნახე შენ ადამიანებზე თავდასხმები – თან ძაღლები ყველა ძაღლის მსგავსს ეჯვარებიან – ასე რომ მალე ტყეში ძაღლების მეტი არცერთი მტაცებელი აღარ ცხოვრობს.. ჯერ ეს

ხროვები ტყეში ანადგურებენ ცხოველებს, მერე შინაურ საქონელზე გადადიან

დი: რა მგლები არ ანადგურებენ?

თეთრი ორქიდეა: იქ საინტერესო სისტემაა შექმნილი – ტყეში ხომ მგლების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს – ხოდა მათ შორის არის სასაზღვრო ზონები – ანუ, ტერიტორია, სადაც ოჯახის არცერთი წევრი არ შედის. აი, სწორედ იქ მშობიარობენ ირმები

დი: სულ არავინ არ შედის?

თეთრი ორქიდეა: მარტო ოჯახებიდან გაგდებული მგლები – ან ძალიან ბებრები, ან ძალიან ახალგაზრდები..

დი: ესეიგი, ეს შენი მგლები სულაც არ არიან ანგელოზები..

თეთრი ორქიდეა: ისევე როგორც ყველა სხვა ცხოველი და ადამიანი – ისანი უბრალოდ საინტერესოები არიან

დი: გარეულ ძაღლებზე ვლაპარაკობდით - მაგათაც დახოცავენ

თეთრი ორქიდეა: ეგ არის პასუხი? – ყველაფერი უნდა დავხოცოთ და პრობლება აღარ გვექნება

დი: მაგას გეუბნები, შენ რაც არ უნდა მიმტკიცო, რომ მგელი საინტრესო ცხოველია, მანდ მაინც არ არის არგუმენტი, რატომ არ უნდა მყავდეს ისინი მხოლოდ ზოოპარკში და რატომ უნდა იყვნენ ტყეში

თეთრი ორქიდეა: მარტო მგელი არა, ყველა ცხოველი საინტერესოა – იცი, თეორია არსებობს, რომ ირემი იმიტომ კი არ ხდება დომინანტი – ასე ეძახიან ხარიხემს რომელსაც ჰარამხანა ჰყავს და სიტუაციას აკონტროლებს – რომ დიდი რქები აქვს – იმიტომ აქვს დიდი რქები, რომ დომინანტია.

დი: ანუ, ჯერ ხდება დომინანტი და მერე ეზრდება განსაკუთრებული რქები? საინტერესოა, მაგრამ ცხოველების მხოლოდ ზოოპარკში ყოლის საწინაამღდეგო არგუმენტი მაინც არ არის

თეთრი ორქიდეა: მე არ მაქვს პასუხი

დი: სამაგიეროდ მე მაქვს

თეთრი ორქიდეა: ვაუ

დი: მართლა

თეთრი ორქიდეა: აბა მითხარი

დი: საქმე იმაშია, რომ არც რაოდენობის შემცირება, არც ეგრეთწოდებული აუთენტურობა, არც რაღაცა ბალანსის რღვევა

არ შეიძლება იყოს ცხოველების დახოცვის ან მხოლოდ ზოოპარკში ყოლის საწინაამღდეგო არგუმენტი, მით უმეტეს, რომ ისინი თანდათან ადამიანის შექმნილნი ხდებიან

თეთრი ორქიდეა: ეს როგორ? იმას გულისხმობ, რომ ადამიანები თანდათან კლონირებას და გენეტიკურ დუბლირებას ისწავლიან და ყველა ცხოველს გენეტიკური ინჟინერიით შექნიან? როგორც ელექტრონულ ცხვრებზე ოცნების შემთხვევაში?

დი: არა, ეგერე სულაც არა. ჩვენი გარემო დღეს და უკვე დიდი ხანია ცვლილებას განიცდის. თუ ადრე, რამდენიმე საუკუნის და საუკუნეების წინ მსოფლიო შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც უდაბნოების, ტყეების და წყლების უწყვეტი სისტემა, სადაც ალაგ ალაგ მოსჩანს ადამინებით დასახლებული ადგილები დღეს საქმე პირიქითაა – მსოფლიოს გარს ეკვრის ადამიანთა დასახლებების ქსელი, სადაც ალაგ-ალაგ მოჩანს ცხოველების სამყოფელი ადგილები

თეთრი ორქიდეა: მერე რა?

დი: მერე ის, რომ ადამიანთა დასახლებები არა მარტო გამრავლდნენ, არამედ, ბარიერებიც კი შექმნეს ცხოველების სამოძრაო სივრცეებს შორის.

თეთრი ორქიდეა: შესაბამისად, ადამიანთა სამყაროს განვითარების შედეგად ცხოველთა

დი: და არა მარტო ცხოველთა

თეთრი ორქიდეა: ჰო, და არა მარტო ცხოველთა, მცენარეთაც, სამყარო გახდა დაყოფილი – ისინი ვერ ურთიერთობენ ისე, როგორც საუკუნეების წინათ.

დი: თუ ადამიანისათვის მაშინ პრობლემა არ იყო, ან ნაკლებ პრობლემური იყო, ტყეებში გამავალ ბილიკებზე ემოგზაურა, დღეს სრულიად წარმოუდგენელია ჯიხვების ჯოგი, რომლიც საავტოობილო ტრასაზე მოძრაობს ან აფთრების გუნდი, ქალაქს რომ კვეთს..

თეთრი ორქიდეა: მერე აქედან რა გამომდინარეობს?

დი: ის, რომ თუკი ბოლო დრომდე ცხოველთა სამყაროს შენარჩუნება-განახლება სხვადასხვა ქვე-ეკოსისტემების ურთიერთქმედებით ხდებოდა. ის თანამედროვე სახე, რომლსაც დღეს ცხოველთა და მცენერეთა სამყარო იღებს, ამ ურთიერთქმედების გარეშეა დატოვებული

თეთრი ორქიდეა: ისე, ჯობია ამ საქმეში მცენარეებს ნუ გავრევთ, იმიტომ რომ მათ დამტკიცებული ფუნქცია აქვთ – რომელიც ჟანგბადის წარმოება/კვლავწარმოებას ეხება, ასე რომ მათი მოფრთხილება სრულიად გაზომილი, აწონილი და პრაგმატულია

დი: ალბათ მართალი ხარ. ჰოდა იმას ვამბობდი, რომ ეკოსისტემებს შორის ურთიერთქმედებების საშუალება აღარ არის – ურბანისტული და არაურბანისტული სისტემები ამას დღითი დღე უფრო შეუძლებელს ხდიან – იკეტება გზები და სივრცეები რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებდნენ

თეთრი ორქიდეა: მერე, სად არის შენი არგუმენტები?

დი: მაცალე. ამიტომ ის გარემო რომელშიც ცხოველი ცხოვრობს ხდება ადამიანის მიერ შექმნილი და მისი მოქმედებით განსაზღვრული. ამიტომ, ადამიანი იქცევა პასუხისმგებლად იმ კონკრეტულ გარემოზე, რომლშიც მან ცხოველები მოაქცია

თეთრი ორქიდეა: შენ ამბობ, რომ ჩვენი გარემომცველი ბუნებაც ისეთივე ადამიანის შექმნილია, როგორც ქალაქები და სხვა ინდუსტრიული კომპლექსები?

დი: ჰო, განსხვავება არ არის. ადამიანმა ისევე შექმნა ამ ბოლო საუკუნეების განმავლობაში ბუნება, როგორც ქალაქი.

თეთრი ორქიდეა: ალაბთ მართალი ხარ – ნაციონალური პარკები და ნაკრძალები ამის მაგალითებია

დი: ჰოდა ნაციონალურ პარკებამდეც მივედით – არა მარტო ნაციონალურ პარკში არსებული მცენარეები და მდინარეები ხდებიან ადამინის პროდუქტი – ის ცხოველებიც, რომლებიც შიგნით არიან

თეთრი ორქიდეა: ანუ, ადამიანები ისე გახდნენ ცხოველების და საერთოდ ბუნების შემოქმედები, რომ ვერც კი გაიგეს?

დი: ჰო, და ეს ალბათ ერთადერთი რამეა თანამედროვე სამყაროში, რაც ადამინების ღვთიურ ბუნებაზე მიუთითებს

თეთრი ორქიდეა: ეს როგორ?

დი: როგორ და – როგორც ძველ აღთქმაშია – ღმერთმა შექმნა კაცი და ქალი, და შემდეგ ისე გამოვიდა, კაცი და ქალი ღმერთის ნების წინაამღდეგ წავიდნენ

თეთრი ორქიდეა: მერე რა შუაშია აქ ცხოველები?

დი: მთლად პირდაპირი და მარტივი ანალოგია არ არის – ადამინი ქმნიდა და ქმნის მანქანებს, მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, წერს წიგნებს, და უეცრად, თუკი აქ ეს სიტყვა შეიძლება გამოიყენო –

აღმოჩნდება რომ მან ბუნება და ცხოველთა სამყარო შექმნა – ანუ, ისინი უეცრად მთლიანად აღმოჩნდნენ მასზე დამოკიდებულნი და მისგან გამომდინარეები

თეთრი ორქიდეა: ისევე, როგორც ამას ძველი აღთქმა გვიყვება – ღმერთი სამყაროს ქმნიდა და შედეგად ადამიანების სამყარო მიიღო

დი: აქ თეოლოგიური შეკითხვების ლეგიონი შეიძლება გაჩნდეს – მაგალითად, იცოდა თუ არა ღმერთმა წინასწარ რა მოხდებოდა თუ არა, თუ იცოდა, სად არის თავისუფალი ნება... მაგრამ ახლა ეს არ გვაინტერესებს, მთავარია ღვთიური ბუნების მახასიათებელი განვსაზღვროთ: როდესაც აკეთებ რამეს და ის, რაც შენი კეთებიდან არ გამომდინარებს – წარმოიქმნება, იწყებს არსებობას და ყურადღების და ზრუნვის ობიექტი ხდება

თეთრი ორქიდეა: მერე ეგ რა არგუმენტია?

დი: ის არგუმენტია, რომ ტექნოლოგიების და ქალაქების განვითარების პროცესში, ისე, რომ ჩვენ არც გვიფიქრია, ცხოველთა სამყარო ჩვენი ზრუნვის ობიექტი გახდა – შეიცვალა ბუნება და შეცვალა ჩვენი ბუნებაც – ჩვენ, ადამიანებმა მივიღეთ ჩვენი ღვთიურობის დამადასტურებელი ნიშანი და ასევე – ცხოველების ღვთიურობის დამადასტურებელი ნიშანიც მივიღეთ

თეთრი ორქიდეა: ცოტა ზედმეტი ტვინის ჭყლეტა ხომ არ არის?

დი: მაცალე. ცხოველები აღარასოდეს აღარ იქნებიან ისეთები, როგორებიც ისინი მანამდე იყვნენ – დამოუკიდებლები და პლანეტის მფლობელები, ისევე, როგორც ადამიანები ვერასოდეს ველარ დაბრუნდებიან ედემის ბაღში

თეთრი ორქიდეა: თუმცა, ეს დაბრუნება ხომ იდეალია – უტოპისტური თუ როგორიც გინდა..

დი: ასევე ცხოველების შემთხვევაში – ისევე, როგორც ჩვენ ცვდილობთ მაქსიმალურად აღვადგინოთ ბუნების ისტორიული სახე – როდესაც მთელი პლანეტა ერთი სისტემა იყო, ქალაქების და საავტომობილო გზების ბარიერების გარეშე, ასევე არის ედემის ბაღი ადამიანების მშვიდი და ურთიერთსარგებლიანი ცხოვრების არქეტიპი

თეთრი ორქიდეა: მერე აქედან გამომდინარეობს რომ ცხოველები არ უნდა ვხოცოთ და ვანადგუროთ, რომ ისინი მხოლოდ ზოოპარკებში არ უნდა გვყავდეს?

დი: კი, ამ მიდგომაშია პრინციპული განსხვავება – ცხოველების სახეობების შენარჩუნებისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა

აქვს სად იქნება ეს სახეობა – ზოოპარკში თუ ნაციონალურ პარკში, მაგრამ ჩვენი ღვთიურობის დასადასტურებლად აქვს – ჩვენი პასუხისმგებლობაა მათი დღევანდელი არსებობა, და თუ მართლა გვაქვს ღვთიური ბუნება – ჩვენი ზრუნვის საგნად ცხოველების ტყეებში ყოფნა უნდა დარჩეს

თეთრი ორქიდეა: რა უცნაურია – თითქოს ადამიანის ღვთიური ბუნების დამადასტურებელ არგუმენტებს თეოლოგია, გაწიე-გამოწიე და ფილოსოფია მაინც უნდა ეძებდეს – ყოველ შემთხვევაში ტრადიციულად ასეა, ეხლა კი უცბად ამის დამდასტურებელი ეკოლოგია და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები აღმოჩდნენ

დი: ყველა არა

თეთრი ორქიდეა: რა მნიშვნელობა აქვს – თავისთავად ძალიან მომხიბლველია – ჩვენი ღვთიურობა, და ასევე, ცხოველების ღვთიურობა მტკიცდება იქ, სადაც არ უნდა მტკიცდებოდეს – პრაგმატული და თითქოსადა ცივი მეცნიერების სფეროში

დი: ასე გამოვიდა – ძველი აღთქმის ასეთი გაგება ავტორს რომ არ მოეწონოს?

თეთრი ორქიდეა: თავს ნუ ისულელებ – ძალიან ავტონომიური ხომ არ გგონია შენი თავი

დი: არ მგონია, მაგრამ ახლა მისი ნამდვილი ავტორობის დამადასტურებელი ხომ ის იქნება, რამდენად გაგვიშვებს ის და რამდენად გამოვალთ მისი კონტროლიდან

თეთრი ორქიდეა: ასე გამოვა, რომ სხვა და სხვა ავტორების სურვილი, დაასაბუთონ, რომ ტექსტები დამოუკიდებლად ცხოვრობენ, სონამდვილეში ემასახურება ამბიციურ მიზანს: აჩვენონ, რომ ავტორები ღმერთები არიან

დი: და შესაბამისად, ავტორების გაქრობისკენ კი არ არის ეს მცდელობები მიმართული, არამედ მისი ახალი აგებისაკენ და ყველა ავტორის ღვთიურ არსებებად ქცევისაკენ..

თეთრი ორქიდეა: შეიძლება, მაგრამ ეს ხომ ძალიან რთულია – ჩვენს ცხვრებს – ანუ, ცხოველებს ხომ არ დავუბრუნდეთ, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, რატომ არ უნდა დახოცოს ჩუნის პროვინციის გუბერნატორმა მგლები

დი: ეს უკვე ვთქვით – ამით ის თავის მიზანს – შეწყვიტოს მგლების სოფლებზე თავდასხმები, ვერ მიაღწევს, პირიქით, შეიძლება გაზარდოს კიდეც თავდასხმათა რიცხვი

თეთრი ორქიდეა: და სულ რომ ამოხოცოს?

დი: სადღაც ალბათ ესეც მოხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ სულ უფრო და უფრო დავშორდებით ჩვენს ღვთიურ ბუნებას – ანუ, ჩვენ რისი შექმნაც არ გვიფიქრია

თეთრი ორქიდეა: რა ღრმა თეოლოგიაა – ავტორი დადნა ალბათ – რაზე არ უფიქრია ღმერთს და რა არ უნდოდა – როგორი ინტელექტუალური განსხვავებაა

დი: ეს შენი სიტყვები არ არის, ავტორს შერცხვა ზედმეტი სერიოზულობა და მეტი არაფერი

თეთრი ორქიდეა: ალბათ, აბა მე ამას რა მათქმევინებდა

დი: ანუ, ჩვენი რისი შექმნაც არ გვიფიქრია, იმაზე პასუხისმგებლობას და ზრუნვას

თეთრი ორქიდეა: და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ?

დი: ერთიც უნდა დავამატო, სანამ ამ დაზუსტებაზე გადავიდოდი - ჩვენ როგორც კონკრეტულ ადამიანებს შეგვიძლია ვიზრუნოთ ცხოველებზე, მაგრამ ისეთივე შედეგს რომ მივაღწიოთ, როგორსაც ღმერთმა მიაღწია ჩვენზე ზრუნვით, მხოლოდ ერთად შეგვიძლია ამის გაკეთება

თეთრი ორქიდეა: ანუ, ჩვენ მხოლოდ ერთობლივ ზრუნვაში ვხდებით ის რაც ვართ, ანუ, მხოლოდ ერთობლივ ზრუნვაში შეგვიძლია შედეგის მიღწევა

დი: მე მგონი საკმაოდ გარკვევით ვთქვით, რატომ არ უნდა დახოცო ცხოველები ტყეებში, მაგრამ იგივეს თქმა შეიძლება ჩვენი, ადამინების მოქმედებების სხვა შედეგებზე – მაგალითად, მაწანწალა, ან მოშიმშილე ბავშვებზე

თეთრი ორქიდეა: არა მგონია – საკუთარ თავზე ზრუნვა არ უნდა იყოს ღვთიურობის ნიშანი – ეს რაღაცნაირი დაზღვევაა, რომ ჩვენი საერთო მდგომარეობა გამოვასწოროთ, არ დავუშვათ ჩვენნაირების ტანჯვა – იმიტომ, რომ ეს მერე ჩვენ თვითონ არ შემოგვიბრუნდეს

დი: ალბათ მართალი ხარ – ღვთიურობის ნამდვილი დასტური – ისეთ რამეზე ზრუნვაა, რომლის გაქრობაც შენ არაფერს არ დაგაკლებს, არ იმოქმედებს შენზე – არანაირად – ისევე, როგორც ღმერთზე არ იმოქმედებს ჩვენი არარსებობა – რაც არ უნდა თქვან თანამედროვე ფილოსოფოსებმა

თეთრი ორქიდეა: მხოლოდ ცხოველებზე ზრუნვით ვართ ჩვენ ღვითიური არსებები, და მხოლოდ ცხოველები არიან ის ღვთიური არსებები, რომელთა საშუალებითაც ჩვენ ასეთები ვხდებით

დი: ანუ, ეს ჩვენი, როგორც კაცობრიობის არჩევანი უნდა გახდეს?

თეთრი ორქიდეა: მე არა მგონია, რომ კაცობრიობა უნდა შეიკრიბოს, ერთად დავჯდეთ და არჩევნები მოვაწყოთ..

დი: მე ასე ვულგარულად არ მითქვამს..

თეთრი ორქიდეა: მოვაწყოთ არჩევნები თუ რაზე ვიზრუნოთ – საკუთარ შვილებზე თუ ცხოველებზე

დი: ეგრე არც მე მგონია

თეთრი ორქიდეა: ეს არ არის ის არჩევანი რომელიც ჩვენს წინაშეა – მე შვილებს და ცხოველებს შორის კი არ ვირჩევ, არამედ ცხოველებზე ზრუნვასა და არ ზრუნვას შორის

დი: თუმცა, ხომ შეიძლება აფრიკის რომელიმე სახელმწიფოში მოშიმშილე ხალხს, შიმშილით მუცელგასიებულ ბავშვებს ისე შეხედო, როგორც ცხოველებს და ამიტომ მოინდომო მათზე ზრუნვა..

თეთრი ორქიდეა: რატომ – თუ იფიქრებ, რომ მათი გაქრობით შენ არაფრი დაგაკლდება?

დი: ჰო, ისინი იმდენად შორს არიან, რომ გინდ ყოფილან გინდ არა

თეთრი ორქიდეა: მე არა მგონია რომ ასეთი ანალოგია მართებული იყოს – შეხედო მოშიმშილე ბავშვებს როგორც გადაშენების პირას მისულ ცხოველებს..

დი: მესმის რომ ცინიკურია და გამოსავალი არ არის - როგორც კი ასეთი ხედვა გიჩნდება, იქ ზრუნვა ქრება

თეთრი ორქიდეა: მაგრამ მეორე მხრივ, თუ სხვა გამოსავალი არ გაქვს, და მოშიმშილე ბავშვების აღქმა ზრუნვისათვის, საზრუნველად, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მათ შეხედავ როგორც გაქრობის პირას მისულ ცხოველს?

დი: არა მგონია – აქ ალბათ მაინც გამოყენებითი ფაქტორი ერთვება – მოშიმშილე ბავშვებს რომ ვეხმარები, ამით ამავე დროს ვზრდი ამ ბავშვებს, ვასწავლი მათ ადამიანებს შორის ურთიერთობას – ამას კი მხოლოდ გამოყენებითი საფუძველი აქვს – ჯერ ერთი თუ ისინი დახმარების გარეშე დავტოვე, გადარჩენილი ბავშვებიდან დიდი შანსია ჩემი გარემოს დაუძინებელი მტერი მივიღო, ან ისეთ ეპიდემიას დავუდო სათავე, რომ ჩემი მყუდრო და მოწყობილი საზოგადოება შეიწიროს, ანდა – ისეთი პროცესები დაიწყოს, სულაც რომ მსოფლიო დაპირისპირებაში გადაიზარდოს

თეთრი ორქიდეა: ეგრე ხომ ცხოველებზეც შეიძლება ვთქვა – რომ არ მოვუარო – გამრავლდებიან, შეგვჭამენ, ავადმყოფობებს გადაგვდებენ

დი: საქმე იმაშია, რომ მე მორალური კანონები უფლებას მაძლევს ცხოველები დავხოცო და მხოლოდ ზოოპარკში მყავდეს, ხოლო იგივე არ შემიძლია გავაკეთო მოშიმშილე ბავშვების მიმართ

თეთრი ორქიდეა: რა სინდისი შეგაწუხებს?

დი: არა, ბევრი ადამიანი აღმოჩნდება მსოფლიოში რომელიც ამის გამო გადაწყვეტს დამარტყას და გამანადგუროს – ან მორალური მოსაზრებებით, ანდა – იმის გამო რომ ჩემი ძალაუფლების მიღება მოუნდება

თეთრი ორქიდეა: მოკლედ, მსოფლიოში არსებული აკრძალვების და დაშვებების სქელი არ გაძლევს ამის საშუალებას

დი: და თუ არ მაძლევს ამის საშუალებას, ესე იგი შეუძლებელია

თეთრი ორქიდეა: თუმცა, გარემოს დამცველები ცდილობენ ასეთვე ქსელი შექმნან ცხოველების გარშემოც

დი: მეტ-ნაკლები წარმატებებით – საბოლოო ჯამში წარუმატებლად, რადგან შეიძლება დამარწმუნო, რომ ცხოველები არ უნდა გავანადგურო, მაგრამ დამარწმუნო იმაში, რომ ცხოველების განადგურება მე თვითონ მემუქრება რამეთი – შეუძლებელია

თეთრი ორქიდეა: ამიტომ, რაც არ უნდა განვავითაროთ ტექნიკა და ტექნოლოგია, ფიზიკა და ბიოლოგია, დღეს ჩვენი ღვთიურობის დამადასტურებელი მხოლოდ ცხოველებზე ზრუნვაა..

დი: ასევე, ცხოველების ღვთიურობის დამადასტურებელი, მაგრამ სიტყვა "დღეს" რატომ გამოიყენე?

თეთრი ორქიდეა: იმიტომ, რომ დღეს ეს არის ჩვენი ღვთიურობის დამადასტურებელი, გუშინ, ანუ, სხვა დინასტიის მმართველობის დროს – შეიძლება სხვა იყო..

დი: რა საქმე გაუჩინე ეხლა თეოლოგებს, ვინც დაგიჯერებს, – უნდა დაჯდნენ ეხლა და ქექონ ტექსტები, რა იყო ჩვენი ღვთიურობის დამადასტურებელი ასი, ათასი წლის წინ

თეთრი ორქიდეა: თუმცა, შეიძლება არც არაფერი..

დი: შეიძლება არც არაფერი, მაგრამ მაშინ ხომ უცნაურ დასკვნამდე მივდივართ, რომ მაშინ ღვთიურობის დამადასტურებელი უბრალოდ არ გვქონდა

თეთრი ორქიდეა: ან, ძალიან ბანალური ხომ არ ვიქნები რომ ვთქვა, რომ – შეიძლება არც გვჭირდებოდა

დი: არა მგონია

თეთრი ორქიდეა: ჰოდა ვამბობ – შეიძლება არც გვჭირდებოდა

დი: და ახლა გვჭირდება?

თეთრი ორქიდეა: რატომაც არა

დი: რატომ ეხლა და არა მაშინ?

თეთრი ორქიდეა: იმიტომ, რომ.. იმიტომ რომ ბევრი პასუხი არსებობს

დი: მაგალითად?

თეთრი ორქიდეა: მაგალითად, ისე დავშორდით ღმერთს მხოლოდ ეხლა დაგვჭირდა და იმიტომ, ან კიდევ – მხოლოდ ეხლა გავხდით ღირსები, რომ ღვთიურობის ნიშანი შეგვეძინა.. ჩვენ და ცხოველებსაც

დი: ანუ, ღვთიურობის ნიშანი მარტო, ავტონომიურად არ შეიძინება?

თეთრი ორქიდეა: როგორც ჩანს, ეხლა სხვანაირად შეუძლებელია

დი: ეხლა?

თეთრი ორქიდეა: კარგი, ჩვენს დროში.

მეშვიდე

ტომი: გუშინ ქალაქში რომ შემოვედი აღარც იმდენი ნანგრევი იყო და აღარც დამწვარი ხორცის სუნი. რამე შეიცვალა ომის შემდეგ?

ბრიგიტა: ცოტა ჩაიწიე. ალბათ. ქუჩებიც იკირწყლება და ეს ჩვენი ზეიმიც აღარ არის მხოლოდ მსხვერპლის შეწირვის მსგავსი. ხალხიც უფრო იმედიანად დადის და გამოიყურება.

ტომი: თქვენ ალბათ ამას დემოკრატიის მმართველობას გინდათ რომ უმადლოდეთ.

ბრიგიტა: რატომაც არა. მაგრამ მე უფრო ამ მმართველობას ლიბერალურს დავარქმევდი. ანუ, გან-თავისუფლებაზე მიმართულს.

ტომი: ხო მაგრამ რა განსხვავებაა, დემოკრატიულს უმადლი თუ ლიბერალურს?

ბრიგიტა: დიდი განსხვავებაა: ლიბერალური ნიშნავს თავისუფლებაზე და გან-თავისუფლაბაზე მიმართულს..

ტომი: ე.ი. რევოლუციურს?

ბრიგიტა: შეიძლება მაგასაც. დემოკრატიული ნიშნავს ისეთ კანონებზე მიმართულს, რომლებიც ქმნიან თავისუფლების, არჩევანის თავისუფლების საფუძვლებს და არა თვითონ თავისუფლებას.

ტომი: ეს განსხვავება თავისუფლების საფუძვლებსა და თავისუფლებას შორის ბანალურად და არაარსებითად მეჩვენება. არა მგონია დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, თავისუფლებას ფლობ თუ თავისუფლების საფუძველზე მიგიწვდება ხელი.

ბრიგიტა: მე კიდევ არა მგონია, რომ ამ საკითხში გარკვევის გარეშე წინ წავიწიოთ. სად უნდა წავიწიოთ? წინ ან არსებობს ან არა.

ტომი: როგორ არა, არჩევანი ხომ გვაქვს, ან წინ წავიწიოთ ჩვენს მსჯელობაში თავისუფლების და თავისუფლების საფუძვლების შესახებ, ან არა.

ბრიგიტა: ეს არჩევანი ილუზორულია. თუ წინ წავიწევთ, წავიწევთ, თუ არა, მაშინ არა.

ტომი: ეგ რაღას ნიშნავს? მხოლოდ იმას რასაც ნიშნავს, თუ სხვა რამესაც?

ბრიგიტა: რა თქმა უნდა იმას სულ არა, რომ მე ფატალისტი ვარ ან ამ წუთში შემიპყრო ყოვლის მსჭვალავმა ფატალისტურმა გაწყობამ.

ტომი: აბა რას?

ბრიგიტა: თუნდაც იმას, რომ ამ მომენტში ავტორი განსაზღვრავს ჩვენს ვითომდა თავისუფალ ნებაზე დამყარებულ დიალოგს.

ტომი: ასეთი ბანალობა..

ბრიგიტა: რა, ჯერ არ მითქვამს?

ტომი: როგორ იტყოდი, როდესაც ბუნდოვანი გრძნობა მაწუხებს, რომ ცხრამეტი-ოცი კითხვა-პასუხის წინ გავჩნდით

ბრიგიტა: და ჩვენი მოგონებები იმ მომენტში ხდება წარსულის წილი როდესაც მათ მოგონებას დავიწყებთ რამდენიმე კითხვა-პასუხის შემდეგ..

ტომი: ან არ დავიწყებთ..

ბრიგიტა: და მაშინ მოგონებებიც აღარ გვექნება

ტომი: მაგრამ ახლა რომ ვლაპარაკობთ ისე, თითქოს მოგონებები გვქონდეს

ტომი: კი მაგრამ რა მიანიშნებს იმაზე რომ მოგონებები გვაქვს?

ბრიგიტა: მხოლოდ ანალოგიები – არ შეიძლება ვლაპარაკობდეთ და სიტყვების მნიშვნელობების გამოცდილება არ გვქონდეს

ტომი: და თუ იმიტაციას ჩავდივართ?

ბრიგიტა: თუნდაც. თუკი იმიტაციას ჩავდივართ, თუ იმიტაცია სრულყოფილია, მაშინ ის საიმიტირებელის იგივეობრივია?

ტომი: კი მაგრამ ორი ერთნაირი რომ არ არსებობს?

ბრიგიტა: ააა, მაშინ ის ორი ერთი და იგივე რომაა?

ტომი: ჰო.

ბრიგიტა: მაშინ ის აღარ იარსებებს რის იმიტაციასაც ვაკეთებთ

ტომი: ან ჩვენ

ბრიგიტა: ეს უკვე მისტიკაა

ტომი: მისტიკა აღარ არსებობს

ბრიგიტა: რატომ?

ტომი: ადგილი აღარ აქვს, მარტო წიგნები არსებობენ მისტიკაზე

ბრიგიტა: აღარც ჩვენს გვერდით? აი ამ მილზე?

ტომი: არა მგონია

ბრიგიტა: რატომ? ჩვენი ტანი ვერ იტანს?

ტომი: ხო, ჩვენ ტანს ატანა არა აქვს..

ბრიგიტა: მოიცა, მოიცა, ველარ გვთარგმნიან

ტომი: არის ამაში რაღაც შორეულად ნაცნობი.. ისევ ფსევდომოგონებებმა შემიპყრო

ბრიგიტა: რას მაკეთებინებს ტანი

ტომი: ტანი კი არა მზერა

ბრიგიტა: რა განსხვავებაა..

ტომი: ისევე როგორც მოგონებები, ჩვენი ტანიც ხომ იგულისხმება

ბრიგიტა: და ჩვენი პირიც

ტომი: ახლა რაღა ვქნათ? ხომ არ გვეთხოვა ავტორისათვის შეგვეშვას

ბრიგიტა: მერე გამოვა რამე?

ტომი: რატომაც არა.

ბრიგიტა: რამე იყო?

ტომი: როგორ არა

ბრიგიტა: რას იტყუები

ტომი: რას ამბობ, შენ ვერაფერი ვერ იგრძენი?

ბრიგიტა: ჩავარდნა მაქვს მეხსიერებაში

ტომი: მერე ეგ არის არაფერი?

ტომი: ხო მაგრამ მე ამას მხოლოდ ახლა ვგრძნობ და არა მაშინ

ბრიგიტა: კი მაგრამ თავისუფლება?

ტომი: რა თავისუფლება?

ბრიგიტა: შესაძლებელია?

ტომი: თუ ავტორი გვყავს?

ბრიგიტა: თუ ტექსტში ვართ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, როგორი ირლანდიური ქელეხებიც არ უნდა გადავუხადოთ ავტორს

ტომი: და თუ ტექსტს გარეთაც ვარსებობთ..

ბრიგიტა: და ღმერთი ავტორია? არც მაშინ.

ტომი: აბა იმას ღმერთი ავტორი ეგონა?

ბრიგიტა: აბა, რა მაგრად შეეშალა..

ბრიგიტა: აბა

ტომი: და თუ ღმერთი ავტორი არ არის?

ბრიგიტა: მაშინ უფრო რთულადაა საქმე..

ტომი: რატომ?

ბრიგიტა: იმიტომ რომ კითხვას არასწორად ვსვამთ

ტომი: ეგ რაღას ნიშნავს? იმას რომ პასუხი ზედაპირზეა თუ რამე უფრო მნიშვნელოვანს?

ბრიგიტა: მე მგონი რამეს უფრო

ტომი: რას?

ბრიგიტა: იმას რომ კითხვა ჩვენგან უნდა დაისვას და არა ღმერთისგან

ტომი: რატომ?

ბრიგიტა: იმიტომ, რომ ამოცანის ამოხსნის ელემენტარული პირობაა, რომ ნაცნობიდან უნდა დაიწყო ამოხსნა და არა უცნობიდან

ტომი: ე.ი. ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და ეპისტემოლოგიური..?

ბრიგიტა: დიახაც რომ. ეს ხომ იგივეა, ერთუცნობიან განტოლებაში, მაგალითად 7+X=12 12-ს კი არ გამოაკლო 7 და X მიიღო, არამედ დაიწყო X-ის ჩანაცვლება ერთიდან და მხოლოდ მეხუთე მცდელობაზე მიხვიდე სწორ პასუხამდე.

ტომი: კი მაგრამ ღმერთი ხომ იქსი არ არის, და არც ადამიანი არის ისეთივე გარკვეულობა, როგორც შვიდი ან თორმეტი

ბრიგიტა: მე პრინციპზე ვამბობ და არა იდენტობაზე. მე რაც ვთქვი, გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ავტორი - ცინიკურად ჟღერს, არა - როდესაც ღმერთის არსებობის დასაბუთებას ცდილობდა, საკუთარ თავს წარმოაიდგენდა ხოლმე ღმერთად.

ტომი: რაც, არ იყო ძნელი, ის ხომ ავტორი იყო..

ბრიგიტა: მართალია. გარდა ამისა, ღმერთის არსებობის დასაბუთების არგუმენტები ღმერთის არსებობას ასაბუთებენ და სხვას არაფერს. ჩვენ კი, თუ სწორად ვიმსჯელეთ, ღმერთის არსებობა ერთ-ერთი შედეგი უნდა იყოს, რომელიც ჩვენი მსჯელობიდან გამოვა, მაგრამ არა ერთადერთი.

ტომი: კი მაგრამ რატომ?

ბრიგიტა: იმიტომ, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება ღმერთის არსებობა მისაღები და არა საკამათო, რწმენა/ცოდნის სასწორზე ჩამოკიდებული.

ტომი: იმ შემთხვევაშიც კი, დასაბუთება საეჭვო პირობითობას რომ დაემყაროს?

ბრიგიტა: ყველა დასაბუთება პირობაზეა დამყარებული. თანაც ის დასაბუთება, რომელიც რეალურად რაიმეს ასაბუთებს, ყოველთვის საეჭვო პირობითობას ემყარება და არა თავსთავად ცხადს

ტომი: ანუ, თუ ასაბუთებს უფრო მეტს, ვიდრე ეს პირობაში იგულისხმება?

ბრიგიტა: ჰო

ტომი: ანუ, ვერაფრით ვერ ვიპოვით ისეთ წანამძღვარს, მთლიანად რომ უტყუარი იყოს?

ბრიგიტა: "მთლიანად" რას ნიშნავს არ ვიცი. მაგრამ ისეთი წანამძღვარი და ამოსავალი მაინც უნდა ვიპოვოთ, რომლის უარყოფა ძნელი იქნება..

ტომი: ან შეუძლებელი

ბრიგიტა: შეუძლებელი უარყოფისთვის არ არსებობს, ბოლოს და ბოლოს "არა" ყველაფერს მიეყენება თუნდაც როგორც მეტაფორა.

ტომი: მაშინ როგორი ძნელი?

ბრიგიტა: ძალიან

ტომი: მაინც როგორი?

ბრიგიტა: ისეთი, რომლის უარყოფაც ძალიან ბევრ რამეს გახდის უაზროდ

ტომი: მაგალითად?

ბრიგიტა: მაგალითად დიალოგს, დისკუსიას,

ტომი: არსებობას?

ბრიგიტა: არსებობასაც

ტომი: არსებობას უარყოფს?

ბრიგიტა: არა, რომელიც უაზროს გახდის

ტომი: ეგ რას ნიშნავს?

ბრიგიტა: ეგ იმას ნიშნავს, რომ უარყოფა ეთიკურად უნდა იყოს შეუძლებელი და არა ლოგიკურად

ტომი: ეგეთი რამე რა არის?

ბრიგიტა: უნდა იყოს.. .. ისეთი რამე, რასაც უარყოფ და აზრი აღარ ექნება ლაპარაკის გაგრძელებას

ტომი: მაგალითად?

ბრიგიტა: მაგალითად თავისუფალი ნება

ტომი: ეგ სწორი მაგალითია?

ბრიგიტა: კი. თუ იტყვი, რომ თავისუფალი ნება არ არსებობს და ყველაფერი იმთავითვე ან ამთავითვე

ტომი: კიდევ სიტყვებით თამაში, თარგმანი გაჭირდება

ბრიგიტა: არა უშავს.. რამეს მოიფიქრებენ. ხოდა თუ იტყვი, რომ ყველაფერი იმთავითვე ან ამთავითვე განსაზღვრულია, მაშინ დიალოგს ან კამათს აზრი არა აქვს – შედეგიც განსაზღვრულია და შენც, რა აზრი აქვს კამათობ თუ არა..

ტომი: ანუ, თუ იტყვი რომ თავისუფალი ნება არ არსებობს, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი განსაზღვრულია, და მოვლენათა ჯაჭვი, რომლშიც შენ ცხოვრობ უცვლელია

ბრიგიტა: ჰო, მაგ შემთხვევში არაფერი არ შეიძლება მოხდეს

ტომი: ყველაფერი უკვე მოხდა და ელოდება რომ ეს მომხდარი გამოვლინდება

ბრიგიტა: ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, იმიტომ რომ არჩევანი არა გვაქვს, თუ გვგონია რომ გვაქვს, ეს ილუზიაა

ტომი: და ხარ როგორც მარიონეტი

ბრიგიტა: რატომ როგორც?

ტომი: მართალი ხარ, ასეთი არსებობა, თუკი ეგ მართალია, სამარცხვინოა

ბრიგიტა: და შესაბამისად, მსჯელობის გაგრძელებას აზრი არა აქვს

ტომი: იმიტომ, რომ ეს მსჯელობაც, შეიძლება, შენი დილამდელი კუჭის მოქმედებით არის განსაზღვრული

ბრიგიტა: რატომ "შეიძლება"? სწორედაც რომ განსაზღვრულია. ზუსტად რომ დილანდელმა ყაბზობამაც განსაზღვრა აუცილებლობით ეს დიალოგი

ტომი: ჩვენმა თუ სხვისამ?

ბრიგიტა: სხვისმაც, რა თქმა უნდა

ტომი: და ყველაფერი არის ურთიერთგანსაზღვრულობის ჯაჭვი და მიმდევრობა

ბრიგიტა: სწორედ აქ შეიძლება მთელი სიმძაფრით - საშინელი სიტყვაა, ძმარს გავს - დაისვას კითხვა, რისთვის არსებობ..

ტომი: ეგ ხომ უაზრო კითხვაა

ბრიგიტა: მხოლოდ მაშინ, თუ ფიქრობ, რომ თავისუფალი ნება გაქვს, თუ არა გაქვს, მაშინ სწორედ რომ დროულია და აზრიანი

ტომი: ესეიგი, ვინც არსებობის მიზანზე სვამს კითხვას, მისთვის თავისუფალი ნება არ უნდა არსებობდეს

ბრიგიტა: ჰო, მისთვის არჩევანი შეუძლებელია, ყველაფერი განსაზღვრულია, და შესაბამისად, კითხულობ, თუ ეს ასეა, მაშინ რატომ გაქვს ამის ცნობიერება?

ტომი: ხოო, ამ შემთხვეაში ცნობიერების, მით უმეტეს ამის ცნობიერების არსებობა სადიზმია

ბრიგიტა: აბა, ბოროტი ღმერთი და ასე შემდეგ

ტომი: არის ამაში რაღაც კომიკური და თვითგვემური – ჯერ ამბობ რომ თავისუფალი ნება არ არის, და მერე თავს იკლავ ამის გამო

ბრიგიტა: რაც იმთავითვე განსაზღვრულია

ტომი: ან მახვილგონიერ პასუხს სცემ, რთული კონსტრუქციებით

ბრიგიტა: რაც არანაკლებ კომიკურია

ტომი: მერე კათარზისიც დგება

ბრიგიტა: და დაკარგული მეორე წიგნიც გამოგვივიდა, მე მგონი

ტომი: ესე იგი, თავისუფალი ნების არსებობა უნდა იყოს ის ამოსავალი რომელსაც უნდა დავეყრდნოთ

ბრიგიტა: ჰო

ტომი: მანდედან გამომდინარე, უნდა ამოვიდეთ იმ დაშვებიდან, რომ თავისუფალი ნება არსებობს

ბრიგიტა: და თუ თავისუფალი ნება არსებობს, მაშინ არჩევანი უნდა არსებობდეს, ანუ, ჩემი არჩევანი უნდა იყოს არა ილუზორული, როდესაც მე მგონია რომ არჩევანს ვაკეთებ, სინამდვილეში კი რას გავაკეთებ უკვე განსაზღვრულია წინასწარ და მე მხოლოდ ონტოლოგიური ნევროზის ჩასაქრობად მჭირდება თავისუფალი ნების წარმოსახვა

ტომი: არამედ ჩემი არჩევანი ნამდვილი არჩევანი უნდა იყოს ერთ, ორ სამ და შეიძლება უსასრულო შესაძლებლობებს შორის

ბრიგიტა: "შესაძლებლობებს" ალბად ცუდი სიტყვაა, რადგანაც იმ ტრადიციაში, რომელშიც ახლა ავტორი გვწერს

ტომი: უთარგმნელში ნუ გადადიხარ

ბრიგიტა: იმ ტრადიციაში რომელშიც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ შესაძლებლობა შეუძლებლობას უფრო ნიშნავს – მახსოვს, შესაძლებლობა სინამდვილეს უპირისპირდება..

ტომი: აქედან მოდის ყველაფერი – რაც სინამდვილეა ის ვერ იქნება შესაძლებლობა, აქტუალურის და პოტენციურის დაპირისპირება, რაც შესაძლებლობაა ან განამდვილდება ან არა.. და ასე შემდეგ

ბრიგიტა: ალბათ სიტყვა შესაძლებლობა არ უნდა გამოვიყენოთ..

ტომი: და მხოლოდ რეალობის ცნებებით თუ ვილაპარაკებთ. თუკი მე მართლაც მაქვს არჩევანი, მაშინ მე რეალობებს შორის უნდა ვირჩევდე და არა შესაძლებლობებს შორის. მხოლოდ მაშინ იქნება არჩევანი ნამდვილი არჩევანი თუკი მე მართლაც ვირჩევ ორ გზას შორის, ვირჩევ მარჯვნივ წავიდე თუ მარცხნივ, და არა თავს ვიმშვიდებ თავისუფალი არჩევანის ილუზიით ან საკუთარი მისიის ძებნით.

ბრიგიტა: ისე, მისიის ძებნას რომ დავუბრუნდეთ – პიროვნული მისიის იდეაც ხომ თავისუფალი ნების არარსებობის აღიარებიდან გამომდინარეობს: თუკი მე არ მაქვს თავისუფალი ნება და მაქვს ცნობიერება, მაშასადამე მე მაქვს მისია – ანუ, რაკი თვისუფალი

ნება არ არსებობს, ჩემი ცნობიერების გამართლება მხოლოდ ჩემი მისიაა, და სხვა არაფერი.

ტომი: მივედით დასკვნამდე, რომ თუკი მისიაზე ლაპარაკობ, მაშინ თავისუფალი ნება არ არსებობს?

ბრიგიტა: ასე გამოდის.

ტომი: მაგარამ ხომ შეიძლება ერთმანეთში ვურევდეთ მისიას და არჩევანს?

ბრიგიტა: მე მაინც მგონია, რომ მისია თავის თავში მოიცავს სხვა შესაძლებლობის შეუძლებლობას, როდესაც არ არსებობს მოვლენათა განვითარების სხვა გზა.

ტომი: თავისუფალი ნება უარყოფს მისიას, მაგრამ აღიარებს არჩევანს, არჩევანს ორ

ბრიგიტა: ან უსასრულოდ ბევრ

ტომი: კარგი, ან უსასრულოდ ბევრ შესაძლებლობებს შორის, როდესაც ორივე, ან უსასრულოდ ბევრი შესაძლებლობა თანაბარი ძალის არის

ბრიგიტა: ეგ ხომ ნიშნავს, რომ თუკი ორივე, ან უსასრულოდ ბევრი შესაძლებლობა თანაბარი ძალისაა, მათ თანაბარი ძალა უნდა შეუნარჩუნდეთ მას შემდეგაც, რაც ჩვენ ერთ-ერთს ავირჩევთ

ტომი: ჩვენ მხოლოდ მაშინ გვაქვს არჩევანის შესაძლებობა, თუკი ყველა არჩევანი, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, არსებობს და ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ გზას ვანიჭებთ უპირატესობას.

ბრიგიტა: ხომ ლაპარაკობენ თანამედროვე მეცნიერები პარალელურ სამყაროებზე – ჩვენ ვართ ჩვენს განზომილებებში, არსებობენ კიდევ დამატებითი განზომილებები და პარალელური სამყაროები

ტომი: მათ დამაჯერებელ და თვითდაჯერებულ მსჯელობებში ვინ არ დაიბნევა, ბოლოს იძულებული ხარ სიტყვაზე დაუჯერო

ბრიგიტა: მაგრამ ეგ ხომ მეტა-ენის ამბავია და არა სინამდვილის აღწერის?

ტომი: რა მნიშვნელობა აქვს? მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, დამატებითი განზომილებები ახალ ხედვას თუ გულისხმობს, და არა პარალელურ სამყაროს, ხოლო პარალელური სამყარო ჩვენს ფიზიკურ სამყაროში ისეთივე რეალური და მყარია, როგორც ჩვენი და არანაირად არ წააგავს თუნდაც ძალიან დაშორებულ შესაძლებლობას

ბრიგიტა: იქნებ სწორედ ძალიან დაშორებულია და ჩვენგან ძალიან შორს სწორედ ის შესაძლებელი სამყარო არსებობს, რომელიც არ ავირჩიეთ? ანუ, რაც უფრო ახლოა, მით უფრო

შორია – ამიტომ ჩვენს უახლოეს მეზობლობაში ყველაზე შორეული შესაძლებლობის სამყარო მდებარეობს..

ტომი: ეგ ლამაზად გამოიყურება, მაგრამ ჩვენს დაშვებაში მთავარი სწორედ ისაა, რომ ყოველი არჩევანი უსასრულოდ ბევრ სამყაროებში უნდა მოძრაობდეს, - ამ სამყაროში ავირჩიე მარცხნივ წასვლა, სხვა სამყაროში მარჯვნივ წავედი, კიდეც სხვაში გავრჩედი, კიდევ სხვაში მიწაში ჩავძვერი, კიდევ სხვაგან ჰაერში ავხტი და დავეკიდე.. ამ სამყაროებმა შეიძლება ერთმანეთი გადაკვეთონ, ან დაემთხვენ კიდეც – ზოგიერთ რამდენიმე შემთხვევაში. ასეთი რამ კი მეცნიერების წიგნებში არ წერია.

ბრიგიტა: მოდი კიდევ ერთხელ აღვწეროთ, რა სამყაროა ის, სადაც თავისუფალი ნებაა შესაძლებელი

ტომი: ეს არის სამყარო, სადაც უსასრულოდ ბევრი სამყაროები არსებობს და ყველა ამ სამყაროში ჩვენი არჩევანის სხვადასხვა გზაა განხორციელებული. ეს წარმოუდგენელი ერთიანობაა, რომელშიც ჩვენი ყოველი არჩევანი და მისი საპირისპირო თუ მასგან განსხვავებული გზა განხორციელებულია და აქტუალურად არსებობს.

ბრიგიტა: ეს წარმოუდგენელი და სულის შემხუთველი/გამხსნელი, ეს ხომ ერთი და იგივეა, სამყაროა. ამ სამყაროების რიცხვის და ურთიერთგანლაგების წარმოდგენისას ხვდები, რომ ყველა წარმოდგენა იმის მკრთალი და უხეირო ანალოგიაა, რისი წარმოდგენაც გინდა..

ტომი: აქ წარმოდგენა ნებდება. ეს არის სამყაროს ის ცნება, რომლსაც წარმოდგენით ვერ იგებ, და მხოლოდ ცნებების განმარტების და ურთიერთქმედებით უნდა დაკმაყოფილდე

ბრიგიტა: მე მაინც მგონია, რომ სწორედ წარმოდგენის უნარია, რომელიც გაჩვენებს სამყაროს ამ სურათის განსაკუთრებულობას – წარმოდგენის უნარი უკან იხევს როდესაც თუნდაც საკუთარი თავისუფალი ნების სამყაროების დანახვას დააპირებ, და საერთოდ ქრება, როდესაც ამ სამყაროებში სხვისი თავისუფალი ნების არსებობას და მისი სამყაროების სიმრავლეს უშვებ..

ტომი: იმისათვის, რომ თავისუფალი ნება არსებობდეს, უნდა არსებობდეს უსასრულოდ მრავალი რეალური სამყარო, სადაც ჩემი არ არჩეული გზები ხორციელდება ყოველი კონკრეტული არჩევანის დროს. ესეიგი, ეს სამყაროები უნდა არსებობდეს ისევე, როგორც არსებობს ის სამყარო, რომლეშიც ჩვენ ვცხოვრობთ..

ბრიგიტა: და თუ ისინი არსებობენ, ანუ, არიან არა პოტენციურნი არამედ აქტუალურნი, სად შეიძლება იყოს მათი არსებობა?

ტომი: ყოველ შემთხვევაში არა იმ სამყაროში, რომლის დაკვირვებაც და რომლის შესახებაც დასკვნების გაკეთება შეგვიძლია

ბრიგიტა: ერთადერთი ადგილი და უნარი, რომელიც ამ სამყაროებს აქტუალურად ამყოფებს, აქტუალობის იმავე ხარისხით, როგორიც ჩვენია, თავისი სამი, ოთხი თუ მრავალი განზომილებით, არის ღმერთი

ტომი: აი ასე მივიღეთ ღმერთის დასაბუთების ახალი გზა, რომელიც დასაბუთებისათვის თავისუფალი ნების არსებობის დაშვებას მოითხოვს..

ბრიგიტა: და მოითხოვს ორ უნარს: რწმენის (არა ღმერთის) და მსჯელობის უნარებს: რწმენა იმისა, რომ თავისუფალი ნება არსებობს, და აქედან გამომდინარე – დასკვნა, რომ ღმერთის არსებობა აუცილებელია, თუკი თავისუფალი ნება არსებობს

ტომი: ეს თითქოს ადვილი დასკვნაა, მაგრამ აქვე შემოგვეყრება სხვა ბევრი კითხვა, თუნდაც, ის, ძველი, შუა საუკუნეობრივი, ამ შემთხვევაში – აქვს თუ არა ცხოველს თავისუფალი ნება?

ბრიგიტა: ერთი მხრივ, თუ ცხოველი არჩევანს აკეთებს – მაშინ კი. მაგრამ ჩვენ საიდან ვიცით რომ ცხოველს შეუძლია არჩევანის გაკეთება? ხომ არ არის ეს არჩევანის უნარი ჩვენს მიერ მიწერილი მისთვის?

ტომი: მეორე მხრივ, თუ არ ვიცით, არც შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მათ არა აქვთ თავისუფალი ნება. ანუ, ის, რომ ჩვენ ვიცით, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცხოველს შეუძლია ან ეს გააკეთოს ან ის, მიგვითითებს იმას, რომ ცხოველს შეუძლია ჰქონდეს თავისუფალი ნება

ბრიგიტა: მაგრამ თუ ეს "ან ეს ან ის" იმ გარემოთი არის ნაკარნახევი, რომელშიც ის ცხოვრობს?

ტომი: გარემოთი?

ბრიგიტა: ჰო, გარემოთი – თუ ცხოველი ცხოვრობს ისეთ გარემოში, რომელიც იმდენად ერტყმის მის ყოველ ჰიპოთეტურ საქციელს, რომ სხვანაირი და არა ამნაირი მოქმედება მართლაც მხოლოდ პოტენციაა და არც აქვს შანსი რამენაირად იყოს აქტუალური

ტომი: მაგრამ იგივე შეგვიძლია ვთქვათ ადამიანზეც: შეიძლება ადამიანის გარემო ისე იყოს მოწყობილი, რომ მხოლოდ ერთი ქცევის განხორციელება იყოს შესაძლებელი, და სხვა, პარალელური შესაძლებლობები ვერც არსებობდნენ იმ კონკრეტული გარემოსათვის.

ბრიგიტა: ამ შემთხვევაში ის ხომ ფიქრობს მაინც, რომ სხვანაირად მოქცევა შეუძლია?

ტომი: შეიძლება იფიქროს, მაგრამ თუ არანაირი რეალობა ამას არ მიუთითებს, მაშიც ეს მხოლოდ ფიქრი და ილუზია იქნება.

ბრიგიტა: ისევ იქ დავბრუნდით, სადაც თავისუფალი ნების შესაძლებლობაზე ვლაპარაკობდით..

ტომი: მე მაინც მგონია, რომ ის სხვა ამბავი იყო. აქ ჩვენ ვამბობთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად თავისუფალი ნების არსებობა იწვევს ღმერთის არსებობას, ამავე დროს ადამინმა ისე შეიძლება მოაწყოს გარემო, რომ მასში სხვა შესაძლებლობას არ ჰქონდეს ადგილი

ბრიგიტა: ანუ, თუ ჩვენ ამ მოწყობაში ინსტიტუციონალიზაციას და კანონებით შემოფარგვლას ვიგულისხმებთ, მაშინ საცოდავ თეორიას მივიღებთ, რომ ადამიანი ღმერთს თანდათან ატოვებინებს სამყაროს

ტომი: ჰო, მაშინ ღმერთი გამოდის რაღაც გადაშენების პირას მისული სახეობასავით, რომელიც ისევე იდევნება ჩვენი სამყაროდან, როგორც, მაგალითად გეპარდი, ან იხვნისკარტა..

ბრიგიტა: ეგ იგივეა რაც გამყარების თეორიები და რაღაც ევოლუციური ამბები

ტომი: ჰო მაგრამ ეს ხომ ლოგიკური დასკვნაა – თუ ადამინი ისტორიულად თვითონვე შემოიზღუდავს თავს წესებით, რომლის მიხედვითაც მოსალოდნელი ქცევა ერთგვაროვანი ხდება, მაშინ სახეზეა თავისუფალი ნების, და შესაბამისად სამყაროში ღმერთის ყოფნის შემცირებაზე მიმართული მოქმედება

ბრიგიტა: ეგეც მართალია, თითქოს: ყველაფერი – სპორტული თამაში, სახელმწიფო, ოჯახი, დასასვენებელი პარკი – იმას მიუთითებს, რომ თავისუფალი ნება ლამის მარტო წერაში რჩება, და თუ სხვა თეორიებსაც გავითვალისწინებთ, იქაც არ რჩება, იმდენად დიდია გავლენები და დუბლიკაციები

ტომი: ეს ლოგიკურია, მაგრამ ხომ არ არის ამ ლოგიკაში რამე, რაც ასეთ სასაცილო დასკვნას შეუძლებელს ხდის?

ბრიგიტა: მე მგონი პირიქით – ლოგიკაში ყველაფერია, რაც ასეთ სასაცილო დასკვნას შესაძლებლად და რეალურად აქცევს. თუკი გვინდა ლოგიკის კომიკურობას თავი დავაღწიოთ, რეალობას უნდა მივმართოთ და იქ ვნახოთ, რა გამოგვრჩა რეალობის აღწერაში..

ტომი: ჯერ ხომ არ აღგვიწერია?

ბრიგიტა: როგორ არა – ყველა ჩვენი დებულების უკან აღწერა დგას, თანაც საკმაოდ მარტივი..

ტომი: მაგალითად?

ბრიგიტა: მაგალითად, როდესდაც ვამბობთ, რომ ადამინი მიმართულია სამყაროდან ღმერთის გადაშენებაზე, მაშინ ვგულისხმობთ, რომ ეს ადამინი პრინციპულად ერთგვაროვანია, და ეს მიმართულობაც – პრინციპულად ერთგაროვანი..

ტომი: ეს ხომ მართლაც ასეა..

ბრიგიტა: ჯერ არ დამიმთავრებია: ეს მიმართულობა პრინციპულად ერთგვაროვანიც რომ იყოს, არ ნიშნავს, რომ მისი ყოველი კონკრეტული გამოვლენაც ერთგვაროვანია. ეს არ ნიშნავს, რომ თუ ღმერთის გადაშენება მიმდინარეობს გარკვეულ შემთხვევებში, რომ ეს ყველა შემთხვევის მიმართ მართებულია. შეიძლება იყოს ერთიორი შემთხვევა, რაც ამ მსჯელობას დაანგრევს

ტომი: რა შემთხვევა, როდესაც ყოველი ჯგუფი საკუთარი ქცევების განსაზღვრაზეა მიმართული, სულერთია იქნება ეს პლატონის აკადემია, ფრანცისკ ასიზელის ორდენი თუ ქურდების სამყარო?

ბრიგიტა: შემთხვევა, როდესაც კონკრეტული ადამიანი არ მიეკუთვნება არც ერთ იმ ჯგუფს, რომლებიც ღმერთის გადაშენებით არის დაკავებული

ტომი: იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ღმერთის გადაშენება ყოველი არსებული თუ მოაზრებული ჯგუფის ხვედრია?

ბრიგიტა: იმ პირობით

ტომი: მაგრამ ასეთი ადამიანი ხომ ძალიან იშვიათი იქნება – მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლისები, რომლებიც არ ჩაჯდებიან არც ერთი ჯგუფის საზღვრებში და მუდმივ რევოლუციას მიჰყოფენ ხელს თუ მუდმივ მოჯანყეებად გადაიქცევიან

ბრიგიტა: არა მგონია.. საქმე იმაშია, რომ ეს ალბათ ყველაზე დიდი უმსჯელობაა, რომ ადამიანები ერთ, ან რამდენიმე განსაზღვრულ ჯგუფს ეკუთვნიან. მათ გონიათ რომ ისინი მხოლოდ ერთ ჯგუფს ეკუთვნიან. სინამდვილეში – სასაცილო

სიტყვაა არა ამ ლაპარაკისას – სინამდვილეში ისინი შეგნებულად მხოლოდ ერთ, ან რამდენიმე ჯგუფთან აიგივებენ საკუთარ თავს, ანუ, ისინი შეგნებულად რთავენ საკუთარ თავს მხოლოდ განსაზღვრულ ჯგუფში..

ტომი: ანუ, მათი დამოკიდებულება იმ ჯგუფებთან მხოლოდ ღირებულებითია, მხოლოდ შეფასებითი?

ბრიგიტა: აბა რა. მხოლოდ ღირებულება და შეფასებაა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც საკუთარ თვითიდენტიფიკაციას ახდენ ლიტერატურულ კაფესთან და ლიტერატურულ კლუბთან და არა მაწვნის რიგში მდგომებთან, არადა, მეტ დროს შეიძლება მაწვნის რიგში ატარებდე და არა კაფეში. რომ გამოგიკვლიონ, შეიძლება მაწვნის რიგში უფრო მეტი ჩვევები და მსოფლმხედველობრივი უნარები შეგიძენია, ვიდრე კაფეში, ის ჩვევები, შენ რომ კაფეში/კლუბში შეძენილი გგონია

ტომი: ეგ ხომ სნობიზმის გამო ხდება?

ბრიგიტა: არა, ეს ხდება მარტივი რამის გამო: შენ სადაც გინდა იქ უნდა იყო, მაგრამ შენი სურვილი არაფერ შუაში არ არის იმასთან რაც ხარ

ტომი: აქედან რასიზმამზე მივალთ: შენ გინდა გერმანელი იყო და არ ხარ, იმიტომ რომ ბებიაშენი ფრანგი იყო

ბრიგიტა: ეს უტრირებაა. შენ მიერ დასახელებულ შემთხვევაში გერმანელობა რეალობაა, უარის თქმა კი შეფასება. შენ რეალობისადმი – გერმანელობისადმი კუთვნილებას აცხადებ. მერე ვიღაც კი მოდის და გაფასებს, რომ შენ ცდები და სინამდვილეში – ისევ ეს სიტყვა – სხვა, უფრო დაბალი დონის ხარ. იმ შემთხვევაში მე რომ აღვწერე, შენ აფასებ – რომ გერმანელი ხარ – და სხვა მოდის და გეუბნება, რომ შენ ამავე დროს ფრანგიც ხარ

ტომი: ესე იგი, რასიზმის შემთხვევაში შენ რეალობას უპირისპირებ შეფასებას, ხოლო შენს მოყოლილ შემთხვევაში – შეფასებას რეალობას

ბრიგიტა: ხო, იქ გაკლებენ, აქ უმატებ.. რეაქცია კი ორივე შემთხვევაში ერთნაირი შეიძლება იყოს – მაშინაც როცა გერმანელად ყოფნას გიკრძალავენ, და მაშინაც როდესაც გეუბნებიან რომ შენ უფრო მეტი ხარ, ვიდრე მხოლოდ გერმანელი..

ტომი: ესეც უტრირებაა, მე ხომ არ ვეუბნები რომ ის მეტია, მე მას აღვწერ, როგორც უფრო მეტს

ბრიგიტა: საქმეც მაგაშია, რომ მე კი აღვწერ მას, როგორც უფრო მეტს, მაგრამ ამავე დროს ვეუბნები კიდეც, მივუთითებ მის უმსჯელობაზე

ტომი: ვეუბნები, რომ სინამდვილეში შენ უფრო მეტი ხარ, ვიდრე შენს (ან ბაბუაშენს) მიერ მოგონილი ჩარჩო

ბრიგიტა: ბაბუაშენი უტრირებაა, ლამის საგვარეულოს დეაპოლოგიზაციას მივადექით.. მაგრამ სინამდვილეში უფრო მეტი ხარ, ვიდრე გგონია ან წარმოგიდგენია, ანუ, ისევ წარმოუდგენლამდე მივედით, იქამდე, რასაც ვეღარ წარმოვიდგენთ და მხოლოდ აღწერა შეგვიძლია

ტომი: ანუ, ჩვენ კი არა, ინსტიტუტები გადააშენებენ ღმერთს,

ბრიგიტა: ისევე, როგორც ჩვენ კი არა, კაშხლები ღუპავენ ეკოსისტემას, ანდა, ატომური ბომბები აფეთქებენ და აავადებენ, და არა ჩვენ,

ტომი: ეს ბოლო შედარება მე მგონი მთლად ზუსტი არ უნდა იყოს..

ბრიგიტა: ფემინისტურია

ტომი: და არა მარტო.. ეს არის ადამინის ტრაგედიის საფუძველი – ეს არის მუდმივი ტკივილი, რომელსაც ჩვენ, ადამინები განვიცდით, როდესაც ვქმნით ისეთ რაიმეს რაც ღმერთის გადაშენებას იწვევს და ამაშია სწორედ ჩვენი დაწყევლილობაც და მადლიც..

ბრიგიტა: ნუ ღადაობ

ტომი: რატომაც არა, მე მგონი აქამდე მივედით, თუმცა არა.. ჯერ ბოლო ვარიანტი არ მოგვიძებნია

ბრიგიტა: ჰო, რამდენიმე სტრიქონის წინ ისევ წარმოუდგენელ წარმოსახულამდე მივედით, როცა ვცდილობდით ღმერთი გადაშენებისაგან გადაგვერჩინა..

ტომი: შენ არ თქვი, მოვრჩეთ ღადავს

ბრიგიტა: კარგი – ბოლოს გავჩერდით იქ, სადაც ვთქვით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი სტრუქტურებში და ინსტიტუტებში აღარ არის, ის მაინც შეიძლება იყოს ამ ინსტიტუტებს შორის

ტომი: ანუ, თუ ჩვენ ღმერთის მიბაძვას მოვახდენთ და ისევე ვიმოძრავებთ ინსტიტუტებს შორის როგორც ღმერთი შესაძლებელ სამყაროებს შორის

ბრიგიტა: ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ღმერთი ჭვერეტს? . .. .

ტომი: და იმ დაშვებით რომ ჩვენც ვჭვრეტთ, თუ მაგრები ვართ, მაგრამ ამავე დროს ვმოძრაობთ ამ სამყაროებში

ბრიგიტა: ისევე, როგორც ღმერთი მოძრაობს ყველა იმ სამყაროში რომლებიც მასშია, მათ შორის ჩვენ სამყაროშიც

ტომი: და ეს არის სწორედ ღმერთის წვდომა – ერთადერთი შესაძლებელი რაც შეგვიძლია

ბრიგიტა: ანუ, ეს არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც კი არ აქრობს, არამედ ინარჩუნებს ღმერთს და საკუთარ თავში შემოჰყავს. კი არ აქრობს შესაძლებელი განვითარებების შემცირების გზით, არამედ შესაძლებელს ხდის უსასრულოდ ბევრ მიკრო სამყაროში იმოგზაურო, როდესაც ერთადერთი შეზღუდვა შენივე სიცოცხლეა.

ტომი: არა მგონია, მოგზაურები ყველაზე ახლოს იყვნენ ღმერთთან. არა მგონია, ყოველ შემთხვევაში, ყველა არა: ისეთი მოგზაური, რომელსაც თან დააქვს თავისი სამყარო, როგორც ლოკოკინას ნიჟარა – ალბათ არა. სივრცეში გადაადგილება ვერ შექმნის სამყაროებში მოგზაურობას. უფრო პირიქით – რაც უფრო მიგეწებება ნიჟარა, მით უფრო გადააშენებ ღმერთს.

ბრიგიტა: ჰო, თუ მოგზაურობა ის წესია, რომელშიც ცხოვრობ, მართალია. მაგრამ თუ მოგზაურობა არის საშუალება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში იცხოვრო, მაშინ კი.

ტომი: ჰო, მაგრამ ყველაზე მაღალი პილოტაჟი იქნება ადამიანი, რომელიც ადგილიდან არ იძვრის და ისე იცვლის სამყაროებს

ბრიგიტა: ანუ?

ტომი: ანუ, ადგილზე ყოფნით – შეიძლება ეს ადგილზე ყოფნა მეტაფორა იყოს, და არა ლოტოსის პოზაში ჯდომა – ის ახერხებს ბევრ სამყაროში მოხვედრას, საკუთარ თავზე სხვადასხვა მსოფლმხედველობების და სამყაროს აღქმების მოზომებით

ბრიგიტა: რაღაც სასაცილო ტრაქტატი გამოგვდის

ტომი: მართალი ხარ, მოდი სხვებმა დაწერონ ეს ტრაქტატიც და სხვებიც, ჩვენს მაგივრად, ჩვენ უფრო საინტერესო საქმეებს მივხედოთ

ბრიგიტა: ჰო, მაგრამ ორი სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ აქედან გამომდინარე მისტიკაზე

ტომი: მე მგონი უკვე ვთქვით

ბრიგიტა: როდის?

ტომი: ცოტა ხნის – კინაღამ სტრიქონი არ ვთქვი – ცოტა ხნის წინ, როდესაც ადგილზე დგომაზე ვამბობდი რაღაცას

ბრიგიტა: და ეს ყველაფერი ჩვენს ყოველდღიურობაში რომ გადავიტანოთ?

ტომი: ანუ, ჩვენს გარემოში და ვთქვათ როგორ არის შესაძლებელი მისტიკური გამოცდილება?

ბრიგიტა: კი მაგრამ, ჩვენი დიალოგის მიზანი სულ სხვა იყო, და კიდევ ერთი თემა ჩავტენოთ შიგნით?

ტომი: იქნებ მაინც ვცადოთ

ბრიგიტა: მკითხველი აირევა

ტომი: არა მგონია, იქნებ ოდნავ მაინც მოგვეხაზა, რა ელოდება ადამიანს ჩვენს გარემოში მისტიკურ გამოცდილებასთან შეხებისას

ბრიგიტა: კარგი, მოდი შევეხოთ

ტომი: შენ დაიწყებ?

ბრიგიტა: როგორც გინდა

ტომი: მოდი მე დავიწყებ, მაინც როლები ისეა განაწილებული

ბრიგიტა: კარგი, ოღონდ მარტო ზედაპირულად, ღრმად არ უნდა შეხვიდე

ტომი: ვიცი, ისედაც სულ ზღვარზე არ დავდივართ

ბრიგიტა: თუ ვწევართ

ტომი: როგორც არის. თუმცა, ახლა ვიფიქრე

ბრიგიტა: იფიქრე?

ტომი: ჰო. ახლა ვიფიქრე – ღირს კი საერთოდ თანამედროვე მისტიკურ გამოცდილებაზე ლაპარაკი? მისტიკა, ისევე როგორც სხვა რაღაცეები, იმდენად უნივერსიტეტიზირებული და ინსტიტუციონალიზებულია, რომ მისტიკაზე ვერც ვილაპარაკებთ

ბრიგიტა: ხომ შევთანხმდით, რომ ღმერთი გადაშენების პირასაა უკვე მიყვანილი სასრულგანზომილებიან სივრცეებში, ანუ, იმ სივრცეებში, სადაც შესაძლებელი მოქმედებების ზღვრული რაოდენობაა დაშვებული

ტომი: მაშინ მორალური ქმედება და მისტიკური ქმედება ერთი და იგივე ხომ არ გამოდის – შენი გარემოს შესაძლებელი მოქმედებების უსასრულო არენად გადაქცევა

ბრიგიტა: წააგავს, მაგრამ მორალური ქმედება გასვლის და გადასვლის ქმედებაა, როდესაც შენ არ ჩერდები ერთ შესაძლებელ

სამყაროში/ჯგუფში და მოძრაობ. როდესაც მისტიკური ქმედება საკუთარი თავის გამრავლება უნდა იყოს – გასვლის გარეშე

ტომი: როგორც მორალური ქმედების ყველაზე უფრო რადიკალური გამოხატვა?

ბრიგიტა: ჰო. საკუთარი პიროვნების გამრავლება ადგილიდან დაძვრის და მოგზაურობის გარეშე – მოგზაურობა რა თქმა უნდა ღმერთის წვდომის გზაა, მაგრამ ეს მოგზაურობა სოციალური ადგილის გამოუცვლელად განიცადო - უფრო რთულია

ტომი: ანუ, კი არ უნდა იცვალო ადგილები და სოციალური როლები, არამედ ისეთ მდგომარეობას მიაღწიო, რომ საკუთარი თავის უსასულოდ გამრავლება შეგეძლოს – როგორც ღმერთს. თუმცა, ღმერთის მიმართ ეს არ უნდა იყოს მთლად სწორი განსაზღვრება, ეს უფრო ჩვენი ზღვრული მდგომარეობის განსაზღვრებაა, ზღვარი, რომელშიც შეიძლება ღმერთად ყოფნა შეიგრძნო, მაქსიმალურად დაემსგავსო ღმერთს

ბრიგიტა: ისევ წარმოუდგენლამდე მივედით

ტომი: არა, ჯერ არ მივსულვართ

ბრიგიტა: მაშინ სოციალური ადგილიდან დაუძვრელად საკუთარი თავის გამრავლების შესაძლებლობა მაჩვენე

ტომი: ეს ის ვითარებაა, როდესაც ერთ ადგილას ყოფნით და შენი როლის შესრულებით შენ ცნობიერად ასრულებ სხვა როლებს, და ცდილობ როლების მაქსიმალურად დიდი რაოდენობა მოიცვა

ბრიგიტა: თუ ეს ფორმულირება სწორია, აუცილებლად უნდა იყოს მისი სარკისებური ანარეკლი, რომელიც სრულიად სხვას სჩადის

ტომი: და არის კიდეც: ადამინი, რომელსაც ინსტიტუციურ სხეულში გარკვეული ადგილი და ფუნქცია გააჩნია და არაფერს არ აკეთებს

ბრიგიტა: თუმცა, ეს არაფრის კეთებაც შეიძლება გარკვეული მდგომარეობა იყოს, რომელსაც მისტიკის ენაზე საკუთარი თავის წაშლა შეიძლება დავარქვათ

ტომი: მართალი ხარ, ეს არ გამოდგება საკუთარი თავის გამრავლების ანარეკლად

ბრიგიტა: ანარეკლად გამოდგება ადამიანი, რომელიც მიმდევრობით აკეთებს სხვადასხვა მოქმედებებს, ისე, რომ თავისი ადგილის შესაბამის მოქმედებას არ ახორციელებს

ტომი: ალბათ. უსაქმურები არიან მისტიკური პრაქტიკის განმახორციელებლის ანარეკლები

ბრიგიტა: ანარეკლები, ერთ-ერთი შესაძლებლი სამყარო, რომელიც მისტიკის პრაქტიკაში ერთ-ერთ სამყაროდ იქცევა. მეორე მხრივ, თუკი თანამედროვე, ერთადერთ შესაძლებელ მისტიკურ გამოცდილებას – საკუთარი თავის გამრავლებას – მივუბრუნდებით, მივიღებთ, რომ თუკი ეს გამოცდილება ადგილის დაკავებასთანაა დაკავშირებული, ერთადერთი მისტიკური გამოცდილება, რომელიც შესაძლებელია, ადმინისტრაციული ყოფილა, თუკი გავითვალისწინებთ იმ სრულ და ზღვრამდე მიყვანილ ინსტიტუციონალიზაციას, ჩვენი სამყარო რომ ხასიათდება.

ტომი: კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა: ყველაფერს აქვს მისი მომიჯნავე შესაძლებელი განხორციელება. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას გმირების მოღალატეებად და მოღალატეების მკვლევარებად ინტერპრეტაცია. შეიძლება წარმოუდგენელი აზრი შევიმუშაოთ, რომლის მიხედვითაც ინტერპრეტატორი, რომელიც ისტორიული კვლევის, ან ორატორი, წინადადებების ფორმების საშუალებით, გმირს მოღალატედ, ან სულაც ჩვეულებრივ მოკვდავად აქცევს, ამით ღმერთს ბაძავს – ეძებს იმ პოტენციურ სამყაროს, სადაც გმირის შესაძლებელი მოქმედება ღალატად იქცევა და მის განხორციელებას იწყებს.

ბრიგიტა: იგივეა აღმოჩენის და პლაგიატის, სიყვარულის და ღალატის, დახმარების და გულგრილობის შემთხვევებში.

ტომი: კი მაგრამ ესენი ხომ ოპოზიციები არიან?

ბრიგიტა: ალბათ მხოლოდ ჩვენს წარმოდგენებში. ოპოზიცია არის წარმოდგენის ის ბოლო ინსტანცია, რომელსაც ჩვენი გონება მიმართავს არსებულის წარმოსადგენად.

ტომი: ისევე, როგორც ჩვენი საუბრის ეს ბოლო, და ალბათ მთლიანად საუბარიც, სულ ადვილად დაიყვანება მრავალსაზრისიანობის და მრავალინტერპრეტაციის შესაძლებლობის მოუხეშავ გამოთქმაზე

ბრიგიტა: ანუ, რომ არც არაფერი გვითქვამს

ტომი: არც ვაპირებდით რაიმეს თქმას.

აქ და დღეს

ვოლანდი: როგორ უნდა ვიმოქმედო, ჩემი მოქმედება უნივერსალური ბუნების კანონად რომ იქცეს?

ბერლიოზი: უნივერსალური ბუნების კანონად რომ იქცეს კი არა, ისე უნდა იმოქმედო, რომ ამავე დროს გინდოდეს, რომ შენი მოქმედება სამყაროს მოწყობის უნივერსალური წესი გახდეს

ვოლანდი: შენ საიდან იცი?

ბერლიოზი: მეც მაქვს რაღაც წიგნები წაკითხული

ვოლანდი: მერე, ცოტა სასაცილო არ არის ეგ ამბავი?

ბერლიოზი: რომელი?

ვოლანდი: აი, მორალი, წესი, რომლის მიხედვითაც როცა ვმოქმედებ, სულ უნდა მახსოვდეს, რომ რა მოხდება, თუ ეს მოქმედება სამყაროს მოწყობას დაედება საფუძვლად

ბერლიოზი: რატომაა სასაცილო?

ვოლანდი: იმიტომ, რომ აქედან გამოდის, რომ მე თუ ვიცი სამყაროს მოწყობის უნივერსალური წესი, მაშინ ვიცი როგორ უნდა ვიმოქმედო და შესაბამისად, სულ აღარ მჭირდება რაღაცეებზე ვიფიქრო და ვზომო და ვწონო

ბერლიოზი: რა უნდა წონო?

ვოლანდი: აი, მოხუცს რომ აქვს – თავი არ უნდა მოვიკლა, იმოტომ, რომ თუ წარმოვიდგენ, რომ ყველამ უნდა მოიკლას თავი, როცა გამოუვალ მდგომარეობაში იქნება, მაშინ ეს არ ივარგებს სამყაროს კანონად და ამიტომ უარს ვიტყვი თვითმკვლელობაზე

ბერლიოზი: ჰოო, ეგ მოხუცი მეორე მოხუცს არ იცნობდა, ასიოდე წლის შემდეგ რომ დაწერა დიდი ტრაქტატი, სადაც ამბობს, რომ შეიძლება ისეთი სამყარო არსებობდეს, სადაც თვითმკვლელობა ცხოვრების წესია

ვოლანდი: ხო, მაგრამ ყველანაირი თვითმკვლელობა არა – მარტო ალტრუისტული – თავის გაწირვა და რამე

ბერლიოზი: მოიცა, ავტორმა ხომ სულ დააბნია მკითხველი – პირველ მოხუცში ხომ კანტი იგულისხმება

ვოლანდი: მეორეში კი დურკჰაიმი

ბერლიოზი: უნდა ვთქვათ, თორემ ვინ გააგრძელებს კითხვას

ვოლანდი: მე მგონი არც ამის მერე მოიკლავენ თავს

ბერლიოზი: სულ ნუ დაკარგავ იმედს, ასე თვითმკვლელობამდეც მიხვალ

ვოლანდი: აქ?

ბერლიოზი: ჰო

ვოლანდი: აბა როგორ

ბერლიოზი: აი

ვოლანდი: რა?

ვოლანდი: რა იყო?

ვოლანდი: სად გაქრი?

ვოლანდი: სად ხარ?

ვოლანდი: ااااااااااااااااااا..

ბერლიოზი: რა იყო, შეგეშინდა? აი თუ არ არის შესაძლებელი აქ თავის მოკვლა

ვოლანდი: არანაირი ეფექტი არ მოუხდენია, მე რომ ვიყვირე, ავტორმა მაყვირა, თორემ ისე რა – შენ უბრალოდ გაჩუმდი

ბერლიოზი: შენ ამბობ რომ აქ გაჩუმება თავის მოკვლის ტოლფასი არ არის?

ვოლანდი: რა თქმა უნდა არა. თავი რომ მოიკლა, აქ ველარ უნდა დაბრუნდე, ან ავტორი გახდე, ან სხვა ვინმე, ტანი უნდა მოიპოვო, რაც შეუძლებელია. ეს კი რა არის – გაჩუმდი და მერე დაიწყე ლაპარაკი

ბერლიოზი: სულ უნდა გავქრე?

ვოლანდი: ჰო, რაც შენთვის და ჩემთვის შეუძლებელია – ავტორზე ვართ დამოკიდებულები, და თუ უნდა გაგვაჩუმებს, თუ უნდა აგვალაპარაკებს

ბერლიოზი: თავის მოკვლა მოგინდება კაცს.. კარგი, დავბრუნდეთ მოხუცებთან – სასაცილოაო ამბობდი

ვოლანდი: ხო, იმას ვამბობდი, რომ მე თუ დარწმუნებული ვარ რომ ვიცი, როგორ და რა პრინციპებზე აგებულია სამყარო? მაგალითად არსებობისათვისო ბრძოლაზე, მაშინ?

ბერლიოზი: მაშინ რა?

ვოლანდი: მაშინ ყველა ჩემი მოქმედება არსებობისათვის ბრძოლით იქნება განსაზღვრული და ალბათ, სულ არ იქნება ისეთი მორალური, კანტს რომ წარმოაედგინა

ბერლიოზი: იქნებ სხვა რამეს გულისხმობდა?

ვოლანდი: თუ გულისხმობდა, დაეწერა

ბერლიოზი: ეგრე ადვილი კი არ იყო იმ დროს – დაწერო რასაც გულისხმობ – მთლი ტომი უნდა დაგეწერა იმისათვის, რასაც ფიქრობდი რომ დაგესაბუთებინა

ვოლანდი: მე მგონი მაინც სხვა რამეს გულისხმობდა – მე რომც ვიცოდე, რომ სამყაროს კანონი არსებობისათვის ბრძოლაა, იქნებ არ მინდოდეს, რომ არსებობისათვის ბრძოლაში მომკლან?

ბერლიოზი: შეიძლება ძალიან ძლიერი ხარ და არც ფიქრობ, რომ მოგკლავენ. პირიქით, დარწმუნებული ხარ, რომ ყველას მოერევი. თანაც, ისეთი განათლება გაქვს მიღებული, რომლის მიხედვითაც უტყუარად იცი, რომ სამყაროს კანონი არსებობისათვის ბრძოლაა

ვოლანდი: მაშინ შეგისრულებია მოხუცის მორალური მოთხოვნა. კანტის დროს სკოლებში სამყაროს მოწყობის პრინციპებს არ ასწავლიდნენ

ბერლიოზი: ასწავლიდნენ, მაგრამ მაშინ სამყაროს მოწყობის ძირითადი პრინციპი მორალური იყო

ვოლანდი: ამიტომ, სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ კანტის დროინდელი ადამიანი სამყაროს მოწყობის ძირითად პრინციპზე თუ იფიქრებდა, არსებული და ნასწავლი წარმოუდგებოდა ცხვირწინ

ბერლიოზი: კარგი, იმაზე რაღას იტყვი – ადამიანობა მიზანი რომ უნდა იყოს?

ვოლანდი: მე თუ კანიბალი ვარ? თუ ჩემი მითოლოგია მეუბნება, რომ საუკეთესო რაც შემიძლია გავუკეთო მტერს – მისი გული შევჭამო, რომ მისმა არსებამ ჩემში გააგრძელოს ცხოვრება?

ბერლიოზი: ისე, რომ იცოდე, კანტის წესები მაინც დასავლური ცივილიზაციისათვისაა, როგორშიც ცხოვრობდა და როგორშიც წარმოედგინა

ვოლანდი: არა მგონია – ის ისეთ წესებს ეძებდა, ყველა შემთხვევისათვის რომ იქნებოდნენ გამოსადეგნი

ბერლიოზი: მერე არ გამოუვიდა

ვოლანდი: არც ეგრე არ უნდა იყოს საქმე – თუ ასე შევხედავთ - გულისხმობდა კანტი იმ თავის უნივერსალურ წესში, რომ ყველა უნდა ასრულებდეს ამ წესს?

ბერლიოზი: მაშინ, იმ ჩვენი მაგალითის შინაარსი რა უნდა იყოს? მინდა თუ არა, რომ ყველა იყოს მზად თავის გაწირვისათვის ამა და ამ შემთხვევაში?

ვოლანდი: ჰო..

ბერლიოზი: მაშინ გამოვა რომ მინდა – რომ ყველა მზად იყოს თავის გაწირვისათვის გარკვეულ შემთხვევებში, თან კენისბერგელ მოხუცს სიტყვაზე ნუ დავიჭერთ. რა იცოდა, რომ პარიზელი მოხუცი თავგანწირვას თვითმკვლელობაში გაიყვანდა

ვოლანდი: მართალია, მაგრამ აქ მეორე ამბავია

ბერლიოზი: რა ამბავი?

ვოლანდი: მე მთელი რიგი ცოდნები უნდა მქონდეს იმისათვის, რომ მორალურად მოვიქცე

ბერლიოზი: რატომ?

ვოლანდი: იმიტომ, რომ უნდა ვიცოდე რა არის სამყარო, მისი მოწყობა, უნივერსალური წესი და ბოლოს და ბოლოს – ელემენტარული წარმოსახვა უნდა მქონდეს

ბერლიოზი: იმისათვის, რომ შენი მოქმედება წარმოსახვითი სამყაროს არსებობის უნივერსალურ წესად წარმოიდგინო?

ვოლანდი: ჰო

ბერლიოზი: მაშინ რა გამოდის – მხოლოდ გარკვეული განათლების მქონე ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ მორალურები და ამორალურები?

ვოლანდი: ასე გამოდის – პრინციპში – ასეცაა, შენი საქციელის მორალურობა/ამორალურობის შესახებ კითხვა ხომ მაშინ გიჩნდება, რაღაც განათლება რომ გაქვს და ამავე დროს - წარმოადგენა მორალურზე და ამორალურზე

ბერლიოზი: ან, იგივე კითხვა გიჩნდება თუ რაიმეს მიღწევა გინდა – რაიმეს გამორჩენის მიზნით

ვოლანდი: ეგ ხომ ერთი და იგივეა

ბერლიოზი: კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ ეგ ხომ არ ცვლის ძირითად პრობლემას – მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანს – მათ საერთო რაოდენობასთან შედარებით – უჩნდება კითხვები მორალურობის შესახებ

ვოლანდი: კითხვებიც და პასუხებიც

ბერლიოზი: ჰო, ხოდა თუ ცოტა ადამინს უჩნდება – ხომ არ არის ეს სამყარო ძირშივე და პოტენციურად ამორალური?

ვოლანდი: ალბათ არა, იმიტომ, რომ ამ სამყაროს მოწყობის წესი სწორედ იმ ადამიანების ხელშია, ვისაც შეიძლება გაუჩნდეს კითხვა მორალურობა-ამორალურობის შესახებ

ბერლიოზი: ანუ – მარტო მმართველები და პოლიტიკოსები?

ვოლანდი: არა – მათი რიცხვი უფრო მეტია – ფაქტიურად ყველა განათლებული ადამიანი – რომლებიც სწავლობენ, ასწავლიან, მართავენ და ასე შემდეგ

ბერლიოზი: მაგრამ მე რა გარანტია მაქვს, რომ ეს ადამიანები სწორად ასწავლიან, ან მორალურობის სწორედ ასეთ, ან მსგავს ფორმულებს ატარებენ?

ვოლანდი: რა თქმა უნდა არა გვაქვს გარანტია, მაგრამ მეორე მხრივ, აქ თვითგადარჩენის და თვითშენარჩუნების ფაქტორები ერთვებიან

ბერლიოზი: როგორ?

ვოლანდი: აი როგორ – თუკი შენ რაღაც მცირე გაგაჩნია – სულ ერთია ეს შენი ქონება მატერიალურია თუ სიმბოლური, შენ ყოველთვის შეეცდები ისეთი წესები შემოიღო, რომ შენთვის ამ საკუთრების წართმევა რთული აღმოჩნდეს. შესაბამისად, საბოლოოდ მიხვალ იქამდე, რომ შენთვისაც რთული აღმოჩნდება სხვისთვის რაიმე საკუთრების წართმევა

ბერლიოზი: ძალიან უტილიტარული და მერკანტილური ახსნაა

ვოლანდი: არანაირად – სინამდვილეში

ბერლიოზი: რას ჩავეჭიდეთ ამ სიტყვას

ვოლანდი: სინამდვილეს?

ბერლიოზი: ჰო

ვოლანდი: რა ჩვენი ბრალია

ბერლიოზი: რა ვიცი, რა ვიცი

ვოლანდი: ჰოდა იმას გეუბნებოდი, სინამდვილეში, ასე რომ ვხსნით მაშინ გამოიყურება ცოტა ზედმეტად მერკანტილურად, თორე ისე – ეს ისეთივე კაცობრიობაზე ზრუნვაა, მოხუცი რომ ამბობდა

ბერლიოზი: ანუ, ასეთი მოქმედებების, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენ მხოლოდ საკუთარი ქონების დაცვაზე ხარ ორიენტირებული, საბოლოო მიზანი კაცობრიობაა?

ვოლანდი: რა თქმა უნდა, თუკი შენ მოინდომებ რომ მარტო შენ კი არ იცავდე შენს საკუთრებას, არამედ, სხვაც იცავდეს, მაშინაც, როდესაც შენ ამის თავი ან დრო არ გექნება

ბერლიოზი: მაშინ, გამოდის რომ რაც არ უნდა იფიქროს ვინმემ და საკუთარი კაპიტალის შენარჩუნებაზე იზრუნოს, საბოლოოდ მაინც მივალთ ისეთ წესებამდე, რომელიც სამყაროს მოწყობის უნივერსალურ წესად გამოდგება?

ვოლანდი: ჰო, მაგრამ ეს დროში ძალიან გაწელილი პროცესია

ბერლიოზი: და რეალურად შეიძლება არ მოხდეს ან ძალიან ცოტა შემთხვევაში მოხდეს?

ვოლანდი: ჰო. მაგრამ მეორე მხრივ – განათლება ისეთი ბუნებისაა, რომ მისმა მიმღებმა უკვე იცის მეორე მხარე – ანუ, მისთვის უკვე ცნობილია სამყაროს მოწყობა – რა ხიფათები და სარგებლები ელოდება და ვინ არიან იმ სამყაროში, რომლშიც ის ცხოვრებას აპირებს

ბერლიოზი: ალბათ, განათლების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ მისმა მიმღებმა იცის, რომ სამყაროს

მოწყობას საფუძვლედ თანასწორობა უდევს. ასე არის ყველა საგანმანათლებლო სისტემაში და ნებისმიერი განათლება – იქნება ეს საბრძოლო ხელოვნებების სწავლება თუ ლიტერატურის, ამ იდეას ეფუძნება

ვოლანდი: რაღაც ძალიან გაწელე

ბერლიოზი: მე უფრო მოკლედ მინდოდა, მაგრამ ამ დროს ავტორი ჩაერთო და რაღაცეები დაამატა

ვოლანდი: ჰოდა რა გინდოდა მოკლედ გეთქვა?

ბერლიოზი: ის, რომ განათლების უნივერსალური შედეგი არის იმის ჩანერგვა რომ შენს გარდა სხვა შენნაირებიც არსებობენ და პრინციპულად შენს და მათ შორის განსხვავება არ არის

ვოლანდი: ეგ რაღაც უცნაური თქვი – ლიბერტანიულ ფერებში..

ბერლიოზი: სულაც არა – და სწორედ ეს არის ჩვენს სამყაროში მორალის საფუძველი – ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ სოციალურ გარემოში რაღაცნაირ განათლებას ყოველთვის იღებს, შესაბამისად, ის ყოველთვის იღებს იმის სარწმუნო მტკიცებას, რომ მის გარდა მისნაირები კიდევ არსებობენ და ის არ უნდა ელოდოს, რომ ეს მისნაირები ერთ მშვენიერ დღეს გაქრებიან

ვოლანდი: ანუ, ის იღებს ცოდნას იმ რეალობის შესახებ რომელშიც ის ცხოვრობს და რომელიც პრინციპულად მისნაირი არსებებით არიან დასახლებულები

ბერლიოზი: და შესაბამისად, რაც არ უნდა დისკრიმინაციული განათლება მიიღო, ამ განათლებით იღებ უტყუარ ცოდნას სხვა შენნაირების არსებობის შესახებ

ვოლანდი: თუ განათლება კასტურია?

ბერლიოზი: კასტური განათლება გიმტკიცებს და გასწავლის შენს განსხვავებულობას და აღმატებულობა/დამცირებულობას

ვოლანდი: კი მაგრამ, ისეც ხომ შეიძლება შევხედოთ, რომ მე ჩემნიარების არსებობის შესახებ ცოდნა განათლების გარეშეც მაქვს

ბერლიოზი: ჩემნაირების არსებობის შესახებ ცოდნა კი მაქვს განათლების გარეშე, მაგრამ ჩვენი ერთნაირობის შესახებ ცოდნა – მხოლოდ განათლებით შემოდის ჩემში – იმდენად, რამდენადაც განათლება მე მასწავლის განსხვავებას და სხვებზე წარმატების მოპოვებას, ის ამით მე მასწავლის, რომ სხვები პრინციპიულად ჩემნაირები არიან. და თუ ეს არ ვისწავლე რასაც მასწავლიან –

მაგალითად, ბრძოლა - ვერ მოვიპოვებ იმ განსხვავებულობას, რაც მეკუთვნის - დაბადებით ან ჯადოსნურად

ვოლანდი: ანუ, ყველანაირი განათლების საფუძველი არის ის, რომ ადამიანები ერთნაირები არიან და ამიტომ ყველანაირი განათლების შედეგი საბოლოოდ ერთი და იგივეა – სამყაროს ისეთი მოწყობის შემუშავება, რომელიც ამ ადამიანების ერთნაირობას ითვალისწინებს

ბერლიოზი: ჰო, გამოდის, რომ ადამიანის არსებობა თავისი არსით მორალური კითხვების დასმისკენაა მიმართული – მთავარია ვინ და როგორ სცემს ამ კითხვაზე პასუხს

ვოლანდი: ანუ, ყველა ადამიანი, თუნდაც ყველაზე პრიმიტიული ტომის წევრი იყოს, თავისი მოქმედებით სცემს პასუხს კითხვას, თუ როგორ უნდა იყოს სამყარო მოწყობილი

ბერლიოზი: რაც ეხლა თქვი, ერთის მხრივ ყველას მორალური პასუხისმგებლობის აღიარებაა, მაგრამ მეორე მხრივ – ყველას და ყოველის პასუხისმგებლობის გათანაბრება

ვოლანდი: ან გათანაბრება, ან რაღაც ჯგუფის გამოყოფა და მასზე დაწოლა – ეს ასეთი აზროვნების აუცილებელი შედეგია – თავიდან გვეგონა რომ კენისბერგელი მოხუცის ნათქვამი მარტო ევროპელ ადამიანს ეხებოდა და ალბათ, ქედმარლურიაო, ვფიქრობდით, ეხლა მივედით დასკვნამდე, რომ ყველას ეხება და ამიტომ – პრინციპში სუსტი მოთხოვნაა, ბევრს არაფერს გავალდებულებს

ბერლიოზი: მართალია – მე ყოველდღიურობაში ის კი არ მაინტერესებს, თეორიულად ვარ თუ არა პასუხისმგებლი ჩემს მოქმედებებზე არამედ ის, თუ როგორ უნდა მოვიქცე

ვოლანდი: ჰოო, მაგ კითხვაზე პასუხს რაღაც დავშორდით

ბერლიოზი: ჰო, დავშორდით და ეხლა ისევ უნდა დავუბრუნდეთ – ალბათ – იმ ორი ძირითადი განწყობიდან უნდა ამოვიდეთ, მორალურ ქმედებას რომ უდევს საფუძვლად

ვოლანდი: რომელი იმ ორიდან?

ბერლიოზი: ეს საკმაოდ მარტივი ორია – პირველი – არ უნდა ელოდო ჯილდოს მორალურად ქცევისათვის და მეორე – არ უნდა მოახდინო შენი საქციელის აფიშირება-რეკლამირება გამოაშკარავება

ვოლანდი: ეგ ხომ არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ უნდა ელოდო ჯილდოს – მაგალითად სიმდიდრეს?

ბერლიოზი: არა, თუმცა ხშირად ასე ესმოდათ – მე კი მგონია, რომ შენი საქციელის მორალურობის გამო არ უნდა ელოდო ჯილდოს, თორემ საქციელის ყველა სხვა მხარე ჯილდოვდება, განისჯება და განიკითხება

ვოლანდი: და მეორე პირველიდან ხომ არ გამომდინარეობს – რომ შენი მორალური საქციელის შესახებ არავინ არ უნდა იცოდეს, ან არავის არ უნდა შეატყობინო, ან ისე უნდა მოიქცე, რომ პრინციპულად ვერავინ გაიგოს – მორალური საქციელი მაშინაა მორალური, როდესაც ის არ ხდება განსჯის საგანი და ამიტომ, პრინციპულად შეუძლებელია რომ დაჯილდოვდეს

ბერლიოზი: იდეალური დანაშაულის აღწერამდე ხომ არ მივედით?

ვოლანდი: ალბათ არა – ჯილდოს პრინციპული შეუძლებლობა იდეალურ დანაშაულთან კავშირს გამორიცხავს – სხვა მხრივ კი მართალი ხარ – ემთხვევა

ბერლიოზი: სტრუქტურალისტებს გაუხარდებათ – ყველაზე ამორალურ და მორალურ საქციელს სტრუქტურულად რომ ერთნიარად რომ ვახასიათებთ

ვოლანდი: ჰო და ალბათ ამიტომ გვგონია მე და შენ რომ ეს განსაზღვრა სწორია – ისევე როგორც დიდი სიყვარულის და დიდი სიძულვილის, ნებისმიერი მძაფრი და ძლიერი დაპირისპირებულების განსაზღვრებისას

ბერლიოზი: ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს მაინც არ მაძლევს იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა მოვიქცე მე, კონკრეტული ადამიანი

ვოლანდი: ძალიანაც ნუ დაიჩემებ კონკრეტულობას

ბერლიოზი: კარგი, სახელი ხომ მაქვს და კონკრეტულ ადამინზე ხომ მივუთითებ მაინც

ვოლანდი: კარგი, ნუ გაბრაზდი, ვიხუმრე

ბერლიოზი: არ გავბრაზებულვარ, გააჭირა ამ ავტორმა საქმე

ვოლანდი: კარგი, დავუბრუნდეთ ჩვენი ქცევის საკითხს

ბერლიოზი: კარგი. ჰოდა, თუ ქცევის საკითხს ვუბრუნდებით, ჯერ უნდა გავიგოთ, ან ოდნავ მაინც უნდა შევეხოთ თუ როგორ არის მოწყობილი ჩვენი სამყარო

ვოლანდი: რატომ?

ბერლიოზი: აბა როგორ უნდა დავადგინოთ ჯილდოების და საიდუმლოდ შენახვის ამბავი?

ვოლანდი: მართალი ხარ. უამისოდ დავრჩებით ზოგადი ფრაზების ამარა და ვერავისაც ვერ ვეტყვით, კონკრეტულად როგორი უნდა იყოს ქცევა ამ სამყაროში

ბერლიოზი: არადა, ყველა ამ დიდი და ზოგჯერ ბუნდოვანი აზრების უკან დგას სურვილი იცოდე თუ როგორ უნდა მოიქცე ამ სამყაროში

ვოლანდი: მართალი ხარ – აი თუნდაც – ერთი ინგლისელი რომ შეეცადა ჩვენი თავისუფლება სიტყვების და გამოთქმების ანალიზიდან გამოეყვანა

ბერლიოზი: მერე გამოუვიდა?

ვოლანდი: თითქოს გამოუვიდა, მაგრამ არა მგონია ამის შემდეგ მას თავი უფრო თავისუფლად ეგრძნო

ბერლიოზი: მოდი ისევ თავიდან დავიწყოთ

ვოლანდი: არა

ბერლიოზი: რატომ არა?

ვოლანდი: კითხვას თავს დაანებებენ

ბერლიოზი: თუ უცბად ვიზამთ, არა მგონია

ვოლანდი: კარგი, ვცადოთ

ბერლიოზი: კარგი. ისევ უნდა დაგისვა კითხვა – ზემოთ არ დავამთავრეთ ამაზე პასუხის გაცემა – ჩვენი საქციელის დაყოფა შესაძლებელია მორალურად და არამორალურად, თუ ჩვენს ყოველ საქციელს აქვს მორალური მხარე, ნაწილი?

ვოლანდი: ალბათ უფრო მეორე – ჩვენს ყოველ საქციელში არის მხარე, რომელიც მორალურობა-ამორალურობას განსაზღვრავს, ამიტომ ყველა საქციელი არის მორალური ან ამორალური

ბერლიოზი: ყველა?

ვოლანდი: ჩაის დალევა ალბათ არა

ბერლიოზი: ალბათ არც ქუჩაში სიარული

ვოლანდი: გადაწყვეტილების მიღებასთან ხომ არ არის დაკავშირებული?

ბერლიოზი: პრინციპში, გადაწყვეტილებას ჩაის დალევის დროსაც ხომ იღებ

ვოლანდი: ჰოო

ბერლიოზი: მაშინ როგორ უნდა ვთქვათ? ჯილდოს მიღება-არმიღების სურვილზე რომ დავიდეთ, მაშინ ხომ შეიძლება, ვიღაცა ბოროტებას იმიტომ სჩადის, რომ ასე უნდა და სულ არ ელოდება ჯილდოს მიღებას?

ვოლანდი: ეგეც შესაძლებელია, მართალია, ძირითადათ ლიტერატურაში

ბერლიოზი: მაგრამ ჩვენც ხომ აქა ვართ

ვოლანდი: ეგეცაა

ბერლიოზი: მაშინ რა გამოდის – მორალურ საქციელს სრულად ვერ განვსაზღვრავთ ვერც ჯილდოს მიღება-არმიღების სურვილით, ვერც გადაწყვეტილების მიღების საერთო ფონით, ვერც სამყაროს მოწყობის წესების ცოდნით, ვერც სურვილით, რომ შენს საქციელში ჩადებული წესების მიხედვით მოეწყოს სამყარო..

ვოლანდი: ასე რომ ვცადოთ – ყველაფერი ერთად რომ იყოს განმსაზღვრელი, მაშინ რა გამოვა?

ბერლიოზი: ყელაფერი ერთად? აბა ვნახოთ: უნდა მოიქცე ისე, რომ არ უნდა გინდოდეს შენი საქციელის შედეგად ჯილდო მიიღო

ვოლანდი: თუმცა ასე შეიძლება მოხდეს და ეს არ ნიშნავს რომ შენი საქციელი პოსტ-ფაქტუმ ხდება ამორალური

ბერლიოზი: ნუ მაწყვეტინებ – ამავე დროს უნდა მოიქცე ისე, რომ შენი ქცევა შენთვის ცნობილ სამყაროს მოწყობის წესს ემთხვეოდეს

ვოლანდი: იმ შემთხვევაშიც, თუ შენთვის ცნობილი წესი შორსაა შენი ყოფითი წარმოდგენებიდან: მაგალითად, იცი, რომ იმ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობ, ყოველთვის ბოროტება იმარჯვებს. ამ შემთხვევაში, თუ შენ ბოროტებას ეხმარები, მაშინ, გამოდის რომ ჯილდოსათვის მოქმედებ, რაც წინა დებულებას ეწინაამღდეგება

ბერლიოზი: ნუ მაწყვეტინებ მეთქი

ვოლანდი: კარგი, გააგრძელე

ბერლიოზი: და მესამე – არ უნდა მოახდინო შენი საქციელის მანიფესტაცია

ვოლანდი: თუ ეს მოხდა – რაც ხდება ხოლმე, არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც შენი საქციელი პოსტ ფაქტუმ ხდება ამორალური

ბერლიოზი: მაშასადამე, რა მივიღეთ – მორალური მოქმედებაა როდესაც იქცევი ერთსა და იმავე დროს - სამყაროს მოწყობის წესის მიხედვით, არ ელოდები ჯილდოს შენი საქციელისათვის და არ ახდებ შენი საქციელის მანიფესტაციას.

ვოლანდი: თუმცა, ამ შენი საქციელისათვის შეიძლება ჯილდოც მიიღო და მანიფესტაციაც მოხდეს, გაშუქდეს ტელევიზიებში და გაზეთებში და ასე შემდეგ

ბერლიოზი: მიიღო პრემიები და მოგებები აქციებიდან..

ვოლანდი: თუნდაც

ბერლიოზი: ერთი დასკვნაც – ამ შემთხვევაში ყოველი კოკრეტული საქციელის გაზომვა შეუძლებელი ხდება – მხოლოდ შენზეა დამოკიდებული რამდენად ჩათვლი საკუთარ საქციელს მორალურობის სფეროში შესულად და საბოლოოდ, რამდენად მორალურად ან ამორალურად მოიქცევი

ვოლანდი: მოკლედ, ამ სამი პრინციპის ერთიანობა გეუბნება, რომ შენი ცოდნა სამყაროს შესახებ არ უნდა გამოიყენო შენი პირადი სარგებლის მოსაპოვებლად, თუმცა, არ გამორიცხავს იმას, რომ შენი ცოდნა შენ სარგებელს მოგაპოვებინებს და საბოლოოდ გაგამდიდრებს

ბერლიოზი: ეს დასკვნა კი მივიღეთ ბევრი გვერდი მსჯელობის შედეგად, ამგრამ ისეთი განსაკუთრებული რა არის ამაში? ასე თუ ისე ყველა, ვინც ეთიკურობაზე და მორალურობაზე ფიქრობს, ასე იქცევა

ვოლანდი: ეგეც მართალია, მაგრამ ჩვენ ეს ყველაფერი გვინდა იმისათვის, რომ ჩვენს სამყაროში ქცევის მორალური გზა დავადგინოთ, და არა იმიტომ, რომ ყველა დროის და სივრცის უნივერსალური წესი მოვიგონოთ

ბერლიოზი: არც სხვები იგონებდნენ, მაგრამ.. კარგი, გააგრძელე

ვოლანდი: ისე, მეოთხე დაგვავიწყდა – პრინციპული გაუზომველობა – ანუ, თუკი შენ გაქვს სარწმუნო საშუალებები იმისათვის, რომ გაზომო სხვისი მორალური ან ამორალური ქცევა, მაშინ ის არ არის სწორი

ბერლიოზი: კი მაგრამ ჩვენ რომ ვსწავლობთ ხოლმე, ათი მცნება და რამე?

ვოლანდი: ეგ ხომ სწორი და არასწორი ქცევების ჩამონათვალია – მოიქცევი ასე და ღმერთი დაგაჯილდოებს, არა და არა..

ბერლიოზი: კარგი, მერე?

ვოლანდი: მერე ის, რომ დროა ეს ოთხივე ნიშანი ჩვენი გარემოს ენაზე ვთარგმნოთ და ვნახოთ რა გამოვა

ბერლიოზი: მე მეგონა აქამდე ვხუმრობდით – რა სამყაროს მოწყობის წესის მიხედვით უნდა მოვიქცეთ – სიმები და დიდი აფეთქება როგორ უნდა გამოვიყენოთ?

ვოლანდი: მაგ წესზე არ უნდა ვიფიქროთ – ეგ დროზეა დამოკიდებული თან იმდენად, რომ მე მგონი უკვე შეიცვალა, ან მალე შეიცვლება

ბერლიოზი: აბა რაზე უნდა ვიფიქროთ?

ვოლანდი: რაზე და იმაზე, რაც ჩვენ დღევანდელ ყოფას უდევს საფუძლვად, როგორაა ჩვენი სამყარო მოწყობილი, უფრო სწორად - როგორ ვიგებთ, როგორაა სამყარო მოწყობილი

ბერლიოზი: ანუ, შენ ამბობ, რომ სამყარო ისეა მოწყობილი, როგორც ვიგებთ მისი მოწყობის შესახებ?

ვოლანდი: ჰო

ბერლიოზი: ანუ, მე თუ ორასი წლის წინ საეკლესიო სკოლაში ვიგებდი სამყაროს მოწყობის შესახებ..

ვოლანდი: და მერე იწყებდი ცხოვრება იმ სამყაროში, სადაც ცოდნის გავრცელება განმტკიცებაში ეკლესიას დიდი როლი ჰქონდა, შესაბამისად, სამყაროც ჩემთვის ასე იყო მოწყობილი

ბერლიოზი: მაშასადამე..

ვოლანდი: რა რომანტიკული სიტყვაა

ბერლიოზი: ნუ მაწყვეტინებ, რა.. მაშასადამე, მე ჩემი ქცევა სამყაროს მოწყობას კი არ უნდა შევუსაბამო, არამედ, იმას, თუ როგორ შემოდის ცოდნა სამყაროს შესახებ ჩემში?

ვოლანდი: ასე გამოდის, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს..

ბერლიოზი: კარგი, თუ ეგრეა, მაშინ ჩემში სამყარო, ანუ, ცოდნა სამყაროს შესახებ ქსელებით შემოდის

ვოლანდი: ჰო, თანაც, თუკი ასი, ორასი წლის წინათ ეს შემოსვლა მხოლოდ პატარა და ნაგლეჯ-ნაგლეჯ არსებული ქსელებით შემოიფარგლებოდა, დღეს ჩვენი სამყაროს შესახებ ცოდნის ქსელური გადაცემის წესი აშკარაა

ბერლიოზი: ანუ, ჩვენ არა მარტო აღვიქვამთ თავს სხვდასხვა ქსელების და ქსელი წევრებად, არამედ ქსელურობა და ქსელი ჩვენი სამყაროს თავისთავადნაგულისხმევი საფუძველი სხდება

ვოლანდი: ეგ მართლაც ასეა – ყველაფერში ქსელს – კავშირებს და ურთიერთმოქმედებებს ესმევა ხაზი – თანაც ისე, რომ ქსელებზე ლაპარაკი ლამის ცუდ ტონად ითვლება ინტელექტუალთა წრეებში

ბერლიოზი: ეგ მაგარია – ესე იგი სწორ გზაზე ვდგევართ

ვოლანდი: ყოველთვის არა, ეხლა ვნახოთ

ბერლიოზი: ჰოდა, იმას ამბობდი, ქსელები როგორც გვქსელავენ

ვოლანდი: ხოდა იმას ვამბობდი – თუკი ჩვენი სამყაროს თავისთავადნაგულისხმევი მოწყობა ქსელურია, ეს ნიშნავს, რომ

ჩვენი სამყარო, მათ შორის ადამიანთა სამყაროც შედგება ქსელების ქსელისაგან

ბერლიოზი: რა მაგარია, თითქმის შუა საუკუნეები

ვოლანდი: ნუ ცინიკოსობ, ამაზეც ბევრი უთქვამთ წინა საუკუნის მოხუც სემიოტიკოსებს

ბერლიოზი: სემიო.. ვის?

ვოლანდი: ბოდიში, გამახსებდა რომ შენ რომ შეგქმნეს, ეგ მეცნიერება არ იყო.. არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია ჩვენი თემის ბოლოში გავიდეთ, თორემ დაგვეღალა მკითხველი, და ჰა და ჰა და მიგვატოვებს

ბერლიოზი: კარგი, კარგი

ბერლიოზი: ჰოდა იმას ვამბობდი, რომ ჩვენი, ადამიანთა სამყარო შედგება პატარ-პატარა სამყაროებისაგან, რომლებიც თავად ქსელურები არიან

ბერლიოზი: რა თქმა უნდა – მინი-სამყაროს სიმტკიცე ხომ მასში ნაწილების, და ჩვენს შემთხვევაში, ადამიანების კავშირების სიმტკიცეზეა დამყარებული

ვოლანდი: ნუ ამბობ იმას, რაც თავისთავად ცხადია

ბერლიოზი: ვისთვის?

ვოლანდი: მკითხველისთვის

ბერლიოზი: კარგი, კარგი

ვოლანდი: და მერე ეს პატარა ქსელები ერთმანეთთან ქსელის პრინციპებით არიან დაკავშირებულნი

ბერლიოზი: ეს როგორ?

ვოლანდი: როგორ და – ყოველი პატარა ქსელის წევრები იზოლირებულნი არ არიან და სხვა ქსელების წევრებთან ასევე ქსელურ კავშირებში არიან

ბერლიოზი: ზოგი ამ კავშირთაგან სუსტია, ზოგი ძლიერი, ზოგი კორპორაციული, ზოგი პირადი, ზოგი წუთიერი, ზოგი მემკვიდრეობითი

ვოლანდი: მორჩი მანტრას

ბერლიოზი: კარგი, მე უბრალოდ მკითხველს ვართობ

ვოლანდი: მკითხველს ერთი რამ უნდა – დროზე გავიდეთ ბოლოში

ბერლიოზი: კარგი, გავაგრძელოთ

ვოლანდი: ჰოდა, ეს კავშირები ქმნიან ჩვენს ქსელურ ცხოვრებას

ბერლიოზი: საინტერესოა, თანაც ისე ქმნიან, რომ სამყაროს ამ აღწერას ჩვენი ცივილიზაციიდან ყცელაზე უფრო შორს მდგარი ჯგუფებიც კი ვერ დააღწევენ თავს – რაკი ვიცით მათი არსებობა, ისინი უკვე ქსელში არიან გახვეულები

ვოლანდი: კარგი, და მაშინ როგორი იქნება ის მორალური ქცევის სამი აღწერა ასეთი სამყაროს შემთხვევაში?

ბერლიოზი: თუ ოთხი? პრინციპული გაუზომვადობა დაგავიწყდა. რომელი სამი – არ უნდა ელოდო ჯილდოს, არ უნდა მოახდინო საქციელის მანიფესტირება, და უნდა მოიქცე სამყაროს მოწყობის წესის მიხედვით?

ვოლანდი: ჰო

ბერლიოზი: სამყაროს მოწყობის წესის მიხედვით ქცევა ნიშნავს, რომ ხელი უნდა შევუწყო ქსელურობას – ანუ, ვამყარო და ვამყარო ქსელები და გავაბა და გავაბა კავშირები

ვოლანდი: კი ბატონო

ბერლიოზი: მანიფესტაცია არ ვაკეთო – ნიშნავს იმას, რომ არ უნდა ვიყვირო ამის შესახებ, რომ მე მაგარი ვარ ქსელების და კავშირების გაბმაში და რომ ეს სუპერ-მორალური საქციელია

ვოლანდი: და ჯილდოს არ ელოდო?

ბერლიოზი: აქ ცოტა რთულადაა საქმე – ჯილდოს არ ელოდო უნდა ნიშნავდეს, რომ..

ვოლანდი: რას?

ბერლიოზი: იმას, რომ.. ალბათ იმას, რომ ძალიან არ უნდა ჩაიკეტო ერთ ქსელში, რადგან ადრე თუ გვიან, ქსელების და კავშირების ერთ მინი-სამყაროში გაბმის გამო, ჯილდოების წყება არ აგცდება

ვოლანდი: ანუ, გამოვა, თუ დიდხანს შევრჩი ერთ ქსელში, ერთ მინი-სამყაროში, რაც არ უნდა გავაკეთო, ჯილდოსთვის გავაკეთებ?

ბერლიოზი: ასე გამოდის

ვოლანდი: მოდი კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ამაზე – თუ მე ერთ მინი-სამყაროში შევრჩი – და გავაგრძელე სოციალური კაპიტალის დაგროვება

ბერლიოზი: რისი?

ვოლანდი: სოციალური კაპიტალის – სოციალური კაპიტალი ნიშნავს იმ კავშირებს და ქსელებს რომელსაც ადამიანი აგროვებს და აგებს თანამედროვე სამყაროში და რომელსაც დღეს უფრო მეტი მოგების და ფულის მოტანა შეუძლია ვიდრე ფიზიკურ კაპიტალს

ბერლიოზი: ეგრე ვითომ?

ვოლანდი: ბეფვრი ფიქრობს რომ ასეა, იმიტომ, რომ ყველა კაპიტალის დაგროვებას წინ ასეთი – სოციალური კაპიტალის დაგროვება უსწრებს..

ბერლიოზი: ესეიგი, მე რომ მატერიალური კაპიტალი დავაგროვო, ამისათვის ჯერ სოციალური კაპიტალი უნდა შევქმნა?

ვოლანდი: ჰო, ან ერთდროულად.. მოკლედ, მე თუ გავაგრძელე ერთ მინი-სამყაროში სოციალური კაპიტალის დაგროვება, რაღაცა დონეს რომ მივაღწევ, მე აუცილებლად მივიღებ ამისაგან სარგებელს, ამიტომ ამას უნდა ავერიდო, თუ მორალურად მინდა რომ მოვიქცე

ბერლიოზი: რატომ? იმიტომ რომ რაღაც მომენტში შენს მიერ სოციალური კაპიტალის დაგროვება გადაიქცევა მხოლოდ მოგების მიზნით მოქმედებად, და ქსელურობის ხელის შექყობა მხოლოდ ფონი გახდება

ვოლანდი: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ხომ არ მივედით გაზომვადობამდე? წინა გვერდებზე ხომ ვთქვით, რომ თუ მორალური ქცევის პრინვიპი სწორია, გარეშეს, სხვის მიერ ის არ უნდა იზომებოდეს

ბერლიოზი: სიტყვა კაპიტალი ნუ დაგაბნევს, არც იზომება, ეს მხოლოდ შენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული: როდის გადაწყვეტ, რომ შენს მიერ კაპიტალის დაგროვება ცდება მორალური საქციელის ფარგლებს და ძირითადათ მოგებაზე ორიენტირებული ხდება

ვოლანდი: მართალი ხარ, მხოლოდ წიგნის ფურცლებზე ხდება ახალი ცნებების ასეთი სწრაფი ათვისება და მერე გამოყენება

ბერლიოზი: კარგი, კარგი, ნუ დაიბოღმე.. მაგრამ გამოსავალი არ გვითქვამს - კი ბატონო, ქსელების შექმნა-განმტკიცებაზე უნდა ვიზრუნო, უნდა შევწყვიტო ეს საქმე, როცა შევატყობ, რომ მხოლოდ მოგების მოტანის სახე მიიღო, მაგრამ რა უნდა ვაკეთო – თავი მოვიკლა?

ვოლანდი: აი აქ მივედით ყველაზე საინტერესო ადგილამდე – თავი კი არ უნდა მოიკლა, სხვა მინი-სამყაროში უნდა გადახვიდე, სადაც არ გაქვს ისეთი სოციალური კაპიტალი, რაც შენს საკუთარ მინი-სამყაროების ერთობლიობაში გქონდა და თავიდან დაიწყო ქსელების და კავშირების გამრავლება

ბერლიოზი: და ასე მთელი ცხოვრება?

ვოლანდი: რა თქმა უნდა, თუკი გინდა, რომ მორალურად მოიქცე, თუმცა, რაკი შენ არავინ არ გყავს განმსჯელი და მოსამართლე,

შეგიძლია რაღაც დროს შეწყვიტო ეს სამყაროებში მოგზაურობა და დარჩე ერთ-ერთში – არც არავინ გეტყვის არაფერს – იქნები შენთვის თბილად და მშვიდად, დაგროვებული კაპიტალების გარემოცვაში

ბერლიოზი: ანუ, ჩვენი მორალურობის წესი არ გაცდა მხოლოდ-საკუთარი-თავის-მიერ-შემოწმების-შესაძლებლობას?

ვოლანდი: არა

ბერლიოზი: მაგრამ, ჩვენ მაინც ვერ მივედით კონკრეტულ საქციელამდე – მაინც ზოგადი წესების წარმოებაში ამოვყავით თავი. კონკრეტული ქცევა როგორი უნდა იყოს?

ვოლანდი: კონკრეტულ ქცევად რომ ვთარგმნოთ ჩვენი წესები, შემდეგ სურათს მივიღებთ: თუკი სამყაროს მოწყობის წესის შესაბამისად ვიქცევი, მე ვარ მიმართული ქსელების და კავშირების გამტკიცებაზე და ახალი კავშირების გაჩენაზე. არა მგონია რომელიმე გაწვრთნილმა გონებამ ტყუილი და მკვლელობა, რომელთაგანაც პირველი ქსელის დაშლას ემუქრება, მეორე კი ქსელის მოჭიდების ადგილის - ადამიანის გაქრობას – ქსელის განმტკიცება-გაფართოებად ჩათვალოს

ბერლიოზი: თანაც, ამ შემთხვევაში ჯილდოს არ-ლოდინი და მანიფესტაციაზე უარის თქმა – დამატებითი უზრუნველყოფის ფუნქციას ასრულებენ..

ვოლანდი: მართალია, თანაც აქ დატოვებულია თვითგამართლების წყარო – ადამინს შეუძლია თავისი თავი დაარწმუნოს – თანაც ყოველთვის, რომ ის ჯილდოსთვის კი არ მუშაობს, მას უბრალოდ მოუწია ჯილდოს მიღება, თვითონ კი არ აკეთებს საკუთარი საქციელის მანიფესტაციას, სხვები უწყობენ და ასე შემდეგ

ბერლიოზი: ეს ყველაფერი მხოლოდ მორალურობის გავრცელებას უწყობს ხელს და არა პირიქით

ვოლანდი: ალბათ – სხვა შემთხვევაში, ძალიან მკაცრი რომ იყოს – ძალიან ცოტა ადამინი თუ გაიზიარებდა

ბერლიოზი: არც ამ პრინციპების გაზიარებაზე მოიკლავს თავს ვინმე

ვოლანდი: არც უნდა მოიკლას – მორალურობაზე მითითება და მასზე მსჯელობა იმიტომ არსებობს, რომ მაძიებელს გაუადვილოს გზა, და არა იმიტომ, რომ ყველამ გაიზიაროს

ბერლიოზი: მაგრამ, კონკრეტული ადმიანის საქციელი როგორი უნდა იყოს, მაინც არ ვთქვით

ვოლანდი: როგორი და – შეეცადოს არ დაებას რომელიმე კონკრეტულ ქსელში, მუდმივად იმოგზაუროს სამყაროდან სამყაროში, შექმნას ახალი კავშირები და მინი-სამყაროები

ბერლიოზი: ესეიგი, თუკი აქამდე მორალურობის და მორალური ქცევის ხატს ბრძოლა წარმოადგებდა, ეხლა მოგზაურობა უნდა იყოს მისი სიმბოლური გამომხატველი?

ვოლანდი: ჰო, ანუ, ამით ჩვენ მოგზაურობას ვაბრუნებთ ინტელექტუალურ სამყაროში, გამართლებას ვუძებნით, ვაცილებთ ცნობიერების უბედურებაში დადანაშაულებას და კიდევ ბევრ და ბევრ რამეს ვაკეთებთ

ბერლიოზი: ბრძოლა ხომ რჩება მაინც?

ვოლანდი: კი, მაგრამ ბრძოლა ამ შემთხვევაში არ არის მორალურობის აუცილებელი ნაწილი – მხოლოდ როგორც იარაღი და საშუალება, ისიც გარკვეულ შემთხვევებში

ბერლიოზი: ჩვენი დიალოგი კი როგორ გახდება მორალური?

ვოლანდი: სხვა დიალოგის დაწყებით

დიალოგი

ტომი: ისევ აქა ვართ

ბრიგიტა: ჰო

ჰეკლბერი: მერე რა?

ბეკი: არც არაფერი, გარკვეული აზრით სასიხარულოც კია

დი: რატომ?

თეთრი ორქიდეა: ეგ ხომ ისედაც გასაგებია – ეს არის ჩვენი ყოფნის ერთადერთი ფორმა

ვოლანდი: ამიტომ რა – მუხლებზე დავეცეთ და ავტორზე ვილოცოთ, კიდევ ერთხელ რომ შეგვკრიბა და დაგვწერა?

ბერლიოზი: არა მგონია ეს უნდოდეს – თანაც თუ გავითავალისწინებთ, რომ ამას გვალაპარაკებს, ეს ნამდვილად არ უნდა

ტომი: საკმაოდ პრიმიტიული ხერხია

ბრიგიტა: მეორე მხრივ – რამეთი ხომ უნდა დაეწყო

ჰეკლბერი: ეხლა შენ ხარ ამას რომ ამბობ, თუ ავტორი?

ბეკი: რა განსხვავებაა?

დი: მაინც მაქვს იმედი, რომ მცირე დამოუკიდებლობა მაინც გვაქვს

თეთრი ორქიდეა: ეს დამოუკიდებლობა, რომც გვქონდეს, არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ავტონომიურები ვართ

ვოლანდი: ავტონომიურობა რა არის?

ბერლიოზი: აი, თუნდაც, დამოუკიდებელი კვების წყარო რომ გაქვს

ტომი: ამ აზრით არ ვართ დამოუკიდებლები – ავტორის კომპიუტერის კლავიატურაზე ვართ მიბმულები

ბრიგიტა: და მისი თითების მოძრაობაზე

ჰეკლბერი: და მის სურვილზე

ბეკი: და იმაზე, რაც იცის

დი: აი, სწორედ მანდ არ არის თვითონ თავისუფალი და მანდ შეიძლება ვიპოვოთ ჩვენ ჩვენი თავისუფლების წყარო

თეთრი ორქიდეა: რაში – რაღაც ტრადიციებით და ცოდნებით რომ არის განსაზღვრული მისი მუშაობა?

ვოლანდი: ჰო, ის ხომ ერთის მხრივ თავისუფალია ჩვნს მიმართ, მაგრამ, მეორე მხრივ იძულებულია საკუთარი განათლების, ტრადიციის და უმსჯელობების გადაკვეთაში წეროს

ბერლიოზი: ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ის რომ ახლა ამას წერს, ეს მთლიანად მის ნებაზე არ არის დამოკიდებული?

ტომი: ჰო

ბრიგიტა: ჰოდა, თუ ის წერს ისე, რომ არ არის მთლიანად მასზე დამოკიდებული რას წერს, სწორედ ეს არის ჩვენი თავისუფლების საფუძველი

ჰეკლბერი: კი მაგრამ, ეს ორმაგი დამოკიდებულება ხომ არ არის?

ბეკი: არა – ამ სამყაროში ჩვენ და ავტორი ვართ, ეს სამყარო მარტო ჩვენი და ავტორისაა. თუ ის ისეთ რამეს აკეთებს, რაც არ უნდა, თუ ჩვენი ლაპარაკი და საუბარი ყოველთვის ის არ არის, რაც მას წინასწარ წარმოაუდგენია.. .. ..

დი: და თუ ხანდახან.. .. ხანდახან კი არა, თითქმის ყოველთვის, მან არ იცის რას დაწერს მეორე მომენტში, ჩვენ თავისუფლები ვყოფილვართ, იმიტომ, რომ თუკი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორის შემდგომ ნაბიჯს განსაზღვრავს ტრადიცია და მისი გარემო, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენ, ჩვენი გარემო, თუნდაც ჩვენი წინა ცხოვრებები, განსაზღვრავენ მის, და მაშასადამე, ჩვენს მოქმედებებს

თეთრი ორქიდეა: შენ გინდა თქვა, რომ ავტორი კი განსაზღვრავს სტრატეგიულად რა უნდა რომ დაწეროს

დი: ჰო, შინაარსს, მიმართულებას

ვოლანდი: მაგრამ იმას, თუ როგორ უნდა დაწეროს, ანუ, კონკრეტულ ფორმას, ჩვენს ყოველ გადალაპარაკებას, ჩვენ თვითონ ვკარნახობთ?

ბერლიოზი: დაახლოებით ასეა

ტომი: კარგი, დავუშვათ რაღაც გაურკვეველ თავისუფლებას მივაგენით

ბრიგიტა: არც ისე გაურკვეველია, საინტერესო პარადოქსი გამოდის – იქ სადაც ავტორი იზღუდება, პერსონაჟი თავისუფლდება

ჰეკლბერი: მე მგონი აქ განთავისუფლების მაგივრად დამოუკიდებლობა უნდა გამოვიყენოთ

დი: ესეიგი, როდესაც ის ავტორისაგან დამოიკიდებლად იწყებს მოქმედებას

ბერლიოზი: ანუ, როდესაც ავტორს პერსონაჟის ხასიათი და წარსული კარნახობს რა უნდა გააკეთოს და არა ნაწარმოების ზოგადი ჩარჩო

ვოლანდი: მე მგონი ამას შეიძლება თავისუფლებაც კი დავარქვათ

თეთრი ორქიდეა: იმ აზრით, რომ ამ თავისუფლების თუ დამოუკიდებლობის მომენტებში შენ შენს შემოქმედზე არ ხარ დამოკიდებული და მისგან თავისუფლდები

ტომი: შეიძლება ეგერეც ვთქვათ

ჰეკლბერი: მაშინ გამოდის, რომ აბსოლუტური აზრით მე მაინც რაღაცაზე ვარ დამოკიდებული, მაგრამ ამ სამყაროს კონკრტულობაში არის მომენტები და მთელი პასაჟებიც კი, როდესაც დამოუკიდებელი და თავისუფალი ვარ?

ბრიგიტა: ჰო, ეგრეა.

ბეკი: კარგი. რაკი დავადგინეთ ჩვენი თავისუფლად ყოფნის შესაძლებლობა, ჩვენი ყოფნის ფორმაზეც ხომ არ გვესაუბრა?

ვოლანდი: ეგ საინტერესოა?

თეთრი ორქიდეა: ალბათ

დი: არა მგონია. რა უნდა იყოს საინტერესო იმაში, რომ ვლაპარაკობთ

ბერლიოზი: კი არ ვლაპარაკობთ, დიალოგს ვეწევით

ტომი: დიალოგში ვართ

ჰეკლბერი: ჰოდა, ამ დიალოგში ყოფნას თავისი აზრი უნდა ქონდეს, თორემ ხომ შეეძლო ავტორს ჩვეულებრივი, ნარატიული, თხრობითი სტილით დაეწერა რისი თქმაც უნდოდა

ბრიგიტა: ჰოდა, მკითხველები რომ მოეზიდა, ეს ფორმა მოიფიქრა

დი: ალაბთ ეგრეც იყო, მაგრამ მხოლოდ ეს არ უნდა იყოს დიალოგის და მონოლოგის განსხვავება

ბრიგიტა: მონოლოგის?

ვოლანდი: ჰო, დიალოგის გარდა ყველა სხვა წერის ფორმა მონოლოგია

ბერლიოზი: მაშინ ის თვისებები უნდა ჩამოვთვალოთ, რაც მონოლოგს აქვს და მერე ვნახავთ დიალოგი რისი მაქნისია და რატომ ვართ მასში მოქცეულები

ტომი: ნუუ, მონოლოგი ყოველთვის რაღცას ამტკიცებს

თეთრი ორქიდეა: მონოლოგის მოყოლა ადვილია, მოსმენის შემდეგ

ჰეკლბერი: მონოლოგების ციტირება შეიძლება

ბეკი: მე მგონი, მნიშვნელოვანია, რომ მონოლოგი ერთმნიშნელოვნად ამბობს რასაც ამბობს, ანუ, იწყება მსჯელობით და მთავრდება დასკვნით

დი: შენ გინდა თქვა, რომ მონოლოგი ცალსახა და სწორხაზოვანია?

თეთრი ორქიდეა: ყველა არა, მაგრამ თავისი ფორმით ნარატიული დისკურსი, ანუ, თხრობითი სტილი, წესი, გამოხატვის ფორმა, ასეთია

ვოლანდი: დიალოგი რაღა ჯანდაბაა?

ბერლიოზი: აქედან გამომდინარე, დიალოგს საპირისპირო ნიშნები აქვს

ტომი: მაგალითად რა?

ბრიგიტა: ის, რომ დიალოგს ვერ მოჰყვები დიალოგად, ის მონოლოგად უნდა მოჰყვე, რაც მისი გადმოცემის ფორმას ცვლის

ჰეკლბერი: და მაშასადამე შინაარსსაც

ბეკი: ჰო, დიალოგი ან უნდა დადგა, რამდენი მოქმედი პირიცაა, იმდენის მონაწილეობით, ან უნდა მონოლოგად აქციო

დი: თან, დიალოგი ალბათ, ყველაზე უფრო ჰგავს იმ პროცესს, აზრის გაჩენა რომ ჰქვია – სხვადასხვა აზრების შეჯერება, წინაამღდეგობების ძებნა, რაიმე დასკვნების გაკეთება და ასე უსასრულოდ

თეთრი ორქიდეა: ანუ, დიალოგი თვითონ არის აზრი

ვოლანდი: დიალოგი არის აზრი მთლიანობაში, და არა მისი დასკვნა და საბოლოოდ მიღებული დებულება

ბერლიოზი: მთელი დიალოგი არის ის, რასაც შეიძლება აზრი დავარქვათ

ტომი: და ის, რასაც მონოლოგებით ვისმენთ – მსოლოდ აზრის მოჭრილი ბოლოებია

ბრიგიტა: კი მაგრამ, დიალოგებიდან გამომდინარე აზრებს ხომ იყენებენ ხოლმე?

ჰეკლბერი: მხოლოდ მას მერე, რაც მონოლოგად გარდაქმნიან

ბეკი: ესეიგი, დიალოგი არის ერთადერთი ფორმა, რომლიდანაც არ გემუქრება არც შენი აზრების გადასხვაფერება, არც რაიმეს მიწერა შენზე?

დი: ჰო, ფაქტიურად ეგრეა. დიალოგი იმიტომ კი არ არის დიალოგი, რომ რამდენიმე ადამიანს შორის მიდინარეობს, არამედ იმიტომ, რომ ის აიძულებს ავტორის წარმოსახვას მთლიანად აზრი გადმოსცეს, ყოველი მსჯელობა განიხილოს პრო და კონტრებით, და საბოლოოდ მოგვცეს აზრი მთლიანად, შეუკვეცელი და დაუჭრელი

თეთრი ორქიდეა: ამიტომ დიალოგს ვერ მოყვები, მხოლოდ შეგიძლია დაწერო

ვოლანდი: და რა აზრი აქვს იმის დაწერას, რასაც ვერ მოყვები?

ბერლიოზი: ის აზრი, რომ დიალოგი არის ერთადერთი ფორმა, რომელიც შეიძლება გამოიყენო წერისას და ამავე დროს არ მიიღო ნაწერი

ტომი: ანუ, წერო ისე, რომ არ წერო?

ბრიგიტა: ჰო, წერო ისე, რომ არ წერო, იმოტომ, რომ წერის მიზანია აზრის გადმოცემა, დაწურვა, ერთ-ორ წინადადებაში მოქცევა, ინფორმაციის გადაცემა სხვისათვის, მოკლედ და გასაგებად

ჰეკლბერი: მაშინ დაწერილი დიალოგი დაუწერელი გამოდის?

ბეკი: ჰო, და ეგ არის დაუწერელი ფილოსოფიის აზრი – პლატონს რომ აწერდნენ და მერე დიდხანს ეძბდნენ

დი: პლატონის დაუწერელი ფილოსოფია მისი დიალოგებია?

თეთრი ორქიდეა: ზუსტად

ვოლანდი: რას არ გაიგებ კაცი

ბერლიოზი: მე მგონი ძალიან კარგი ფორმაც გვაქვს – მონოლოგებს წერენ და კითხულობენ იმისათვის, რომ ილაპარაკონ, მოჰყვენენ.

ბეკი: ჰო, და დიალოგს ვერ აციტირებ, თუ აციტირებ – ერთ-ერთი პერსონაჟის მონოლოგის ციტირება გამოგივა და ამიტომ ეს არ იქნება დიალოგის ციტირება

ტომი: მართალია – დიალოგი არის აზრის გადმოცემა – ამიტომ ის სალაპარაკოდ არ გიბიძგებს, ის გიბიძგებს ფიქრისაკენ და საკუთარ თავში დიალოგის აღმოჩენისაკენ

ბრიგიტა: დაიწყო ეზოტერიკა

ჰეკლბერი: არანაირი ეზოტერიკა – სტრუქტურაა ასეთი – ტექსტებს შორის მხოლოდ დიალოგია ისეთი, რასაც ვერ გამოთქვამ – რომ გამოთქვა, სხვა ტექსტად უნდა გარდაქმნა

ბეკი: და მაშინ ის უკვე დიალოგი აღარ იქნება

დი: თუ გამოთქვამ, დიალოგის ბუნებას კარგავ

თეთრი ორქიდეა: ან შეიძლება დადგა

ვოლანდი: მაშინ ხომ გამოთქმა აღარ იქნება – იქნება დადგმა და აზრის გათამაშება

ბერლიოზი: შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მონოლოგს, ანდა, ნებისმიერ ტექსტს საფუძვლად დიალოგი და დიალოგურობა უდევს?

ტომი: რა თქმა უნდა – ნებისმიერი ტექსტი არის დიალოგის გარდაქმნა გამოსაყენებლად, გასაყიდათ, ბაზარზე გასატანად

ბრიგიტა: რაც სულ არ ნიშნავს, რომ ეს ცუდია

ჰეკლბერი: სულაც არა – უბრალოდ ყოფნის სხვადასხვა ფორმებზე ვალპარაკობთ

ბეკი: და უბრალოდ, ვცდილობთ ვიფიქროთ იქ, იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება აზრს – დიალოგში

დი: მართალია – სხვა მხრივ, მონოლოგურ-ტექსტური ფიქრი ჰგავს პროდუქტის გაყიდვას წარმოების პროცესის ჩვენებით

თეთრი ორქიდეა: ეგ ხომ ხდება ხოლმე – სარეკლამო რგოლებში პროდუქციის წარმოების სიმულაციას რომ ახდენენ

ვოლანდი: აბა რა – მაგალითად, რისგან შედგება სნიკერსი, როგორ იწარმოება ყავა ჩიბო

ბერლიოზი: გამოდის, რომ მონოლოგიურ-ტექსტურობა ჩვენი ყოველდღიურობის საფუძველშია

ტომი: და დიალოგურობა არის ერთადერთი გზა ვიფიქროთ ფიქრის, და არა გაყიდვის და გასაღების ფორმით

ბრიგიტა: ასე გამოდის

ჰეკლბერი: დავბრუნდეთ იქ, სადაც

ბეკი: არსად არ უნდა დავბრუნდეთ – დიალოგი არსად არ წასულა, ეგ ფრაზა – დავბრუნდეთ – ასევე გასაყიდი ფორმაა, გერმანელი ვაჭრები მიმართავენ ხოლმე

დი: ყოველთვის ჩვენთან იყო და ყოველთვის შეგვეძლო მისთვის მიგვემართა

თეთრი ორქიდეა: მოკლედ – მაგ სენტიმენტალობებს შევეშვათ, ერთი ხომ ცხადია – ჩვენ ჩვენი დიალოგებით ფიქრზე ვართ მიმართულები და ვცდოლობთ აზროვნებას

ვოლანდი: კი მაგრამ, წიგნის მაღაზიაში რომ გავიყიდებით, ეს არ არის რაღაც შეცდომა ჩვენს დიალოგში?

ტომი: რა აზრით – მონოლოგად ხომ არ ვიქცევით?

ბრიგიტა: არა, უბრალოდ, მონოლოგის ფორმაში გავეხვევით, დროებით, და მერე ჩვენ ვიცით

ვოლანდი: ეს რაღაც შეთქმულების მსგავსია

ბერლიოზი: აბა სხვანაირად როგორ უნდა წავაკითხოთ თავი?

ვოლანდი: დროზე დავამთავროთ, თორემ უკვე ისე ვლაპარაკობთ, მონოლოგური სუნი ავუშვით

ტომი: ისე, თუ ეხლა გვკითხულობენ, ეს ნიშნავს, რომ უკვე წაიკითხეს ყველა დიალოგი, რაც ამ წიგნშია?

ბრიგიტა: არ არის აუცილებელი, შეიძლება ჩვენით დაიწყეს

ჰეკლბერი: მერე რა, თუ აქამდე მოვიდნენ, სხვებსაც წაიკითხავენ

ბეკი: ვნახოთ